პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. ს. ს. რ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მეტრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

№ 253 პარასკევი, 2 ნოემბერი 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 500.000 მან. № 253

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—13.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—14.000.000 მან. კოლექტ. ხელის მოწ. 10.000.000 მ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

დღიური

— დოლლარი გერმანიაში ღირს 100 მილიარდი მარკა.

— გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში თავი იჩინა 5 მიმართულებამ, რის გამო პარტია დაშლის წინ სდგას.

— შავი ძალები თავს იყრიან წითელ ტიურინგიის საზღვრებზე; მზად არიან შესაჭრელად.

— ჩეხო-სლოვაკიის პრემიერმა განაცხადა, რომ ჩეხო-სლოვაკია უნდა დამეგობრდეს რუსეთთან.

— პოლონეთის ყვითელი პროფკავშირები მხარს უჭერენ შტრეიკბრეხერებს.

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციის ლიკვიდაცია

დასრულდა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ სრულიად საქართველოს ყრილობა, რომელზეც წარმოდგენილი იყო ამ ორგანიზაციის წევრთა 97 პროცენტი, საერთო რიცხვით 5050 კაცი.

როგორც ცნობილია, ამ ორგანიზაციის მომწყობი და იდეურ-პოლიტიკური სულის ჩამდგმელი იყო საქართველოს მენშევიკური სოციალ-დემოკრატია. ორგანიზაცია, რომელიც პირველ ხანებში ისახავდა მიზნათ მარქსიზმის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლას, თავისი მუშაობის პროცესში, ბუნებრივია, უნდა თანდათან გამოთხოვებოდა თავის აკადემიზმს და დაახლოებოდა პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზს, კიდევ მეტი მიეღო აქტიური მონაწილეობა ამ ბრძოლაში. რასაკვირველია, მის ასეთ „პრაქტიკას“ გარკვეულ ელფერს და მიმართულებას აძლევდა პარტია, რომელიც მისი შემქმნელი და ხელმძღვანელი იყო. ამნაირათ ეს ორგანიზაცია შეიქნა გამტარებელი ახალგაზრდობაში მთელი იმ კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკის, რომელიც ასე დასჩემდა მენშევიკურ პარტიას, განსაკუთრებით ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და მით უმეტეს „დემოკრატიული“ მთავრობის დამარცხებისა და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ საქართველოში. არც ერთი ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვანი „გამოსვლა“ მენშევიკებისა და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების არ ჩატარებულა „ახალგაზრდა მარქსისტების“ მონაწილეობის გარეშე. ეს ითქმის ყველა უფრო ახალგაზრდების, მოწაფეების „გამოსვლებზე“, რომელთა სულის ჩამდგმელები და პროვოკატორები იყვნენ კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკური პარტიები მენშევიკების მეთაურობით. მაგრამ ძველ დემოკრატიულ ღირებულებათა გადაფასება, რომელიც დასჩემდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მუშურ-გლეხური ნაწილის მოწინავე ელემენტებს და რომელმაც დაბოლოს ჩაითრია ამ პარტიის მშრომელ შემადგენლობის მთელი მასსა, გადაფასება, რომელიც დათავდა დაბოლოს მენშევიკური პარტიის ლიკვიდაციით, გავრცელდა მის მიმდევარ „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაზეც. მთელ რიგ კონფერენციებზე ქალაქებში და სოფლათ ახალგაზრდებმა გადაჭრით დაჰგმეს როგორც ყოფილი ხელმძღვანელი პარტიის, ისე თავიანთი ორგანიზაციების წარსული, მენშევიკური თეორია და პრაქტიკა და ამნაირად გვერდში ამოუდგენ უფროს ამხანაგებს, რომლებმაც მოახდინეს პარტიის ლიკვიდაცია. ახლახან დათავებულ ყრილობას უნდა გაეკეთებია ჯამი უკანასკნელი დროის მუშაობისთვის, ეთქვა საბოლოო სიტყვა წარსულზე, დაესახა ახალი გზები მოღვაწეობის. და ეს შეასრულა კიდევაც ყრილობამ.

მან ხელაღებით დაჰგმო კონტრ-რევოლიუციონური წარსული თავისი მუშაობის, მოახდინა ლიკვიდაცია მთელი ორგანიზაციის, დადგა პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე და კომინტერნის დროშის ქვეშ. ბ. სეით დევდარიანის „ცეკას“ ახალგაზრდებშიც აუსხლტა ფეხი, დაჰკარგა აქაც თავისი დასაყრდნობი ბაზა.

ჩვენ მივესალმებით ახალგაზრდა ამხანაგებს და ვუსურვებთ მათ ნაყოფიერ მუშაობას, ხელიხელ ჩაკიდებული საქართველოს კომკავშირთან, საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა რეჟიმის საბოლოოთ განსამტკიცებლათ და მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გასამარჯვებლათ.

„ახალგაზრდა მარქსისტთა“ ყრილობის შედეგები

31 [illegible] საქართველოს ყოფ. „ახალგაზრდა მარქსისტთა“ (ახალგაზრდა მენშევიკების) ყრილობა. ისტორიულ ნაბიჯს, რომელიც ორი თვის წინათ გადადგა მენშევიკურმა პარტიამ, არ შეეძლო უშედეგოთ ჩაევლო და არ გამოეწვია გამოძახილი შეკავშირებული ახალგაზრდობის იმ ნაწილში, რომელიც მიჰყვებოდა მათ. ოქტომბრის ცხლის ბრწყინვალე სხივებმა გაათეს საქართველოს ოპორტიუნიზმის ყველაზე უჩინარი კუნჭულებიც კი [illegible] ოქტომბრის რევოლიუციის მტრები გამოფხიზლებულიყვნენ, [illegible]ხედათ უკან და მოეხდინათ თანამედროვე ამბების შეფასება. ეს [illegible] გადაჭრით ამბობენ: პროლეტარული რევოლიუცია ან [illegible]ზმი, მუდმივი მოღალატეობა, [illegible] ბრძოლა პროლეტარიატის რიგებ[illegible] მისი ინტერესებისათვის. და ახალგაზრდობას, როგორაც არ უნ[illegible] ყოფილი ის მოწამლული ოპორტუნიზმით, უნდა მიეცა ნათე[illegible] პასუხი ამაზე. მან გაბედა [illegible]ებით პასუხის მიცემა, მან გაბე[illegible]ლათ შეხა თვალში სინამდვი[illegible] და განაცხადა გადაჭრით, რომ [illegible] სურს პროლეტარიატთან ყოფნა. [illegible] „ახალგაზრდა მარქსისტების“ [illegible] დელეგაცია სრულიად შეგნებულად შეაფასა მდგომარეობა. მხოლოდ სამმა [illegible] საძაგელი პროვოკაცია, რადგანაც, რომ კონფერენცია მტკიცეთ ადგია თავის [illegible] ეს ვაჟნები არ ჩერდებოდნენ არაფერზე: აქ იყო ობსტრუქცია [illegible] ვერ მოახერ[illegible], დაშლეტიური მოღვაწეების [illegible] ამა, ჩურჩული, დაპი[illegible], რომ [illegible] წინააღმდეგ წა[illegible], მათ [illegible] გერმანიაში,— [illegible] არაფერი არ უშველა.

[illegible] თავის თავს „ახალგაზრდა მარქსისტებს“ უწოდ[illegible], [illegible] ავანტიურისტების [illegible]ბდენ ზოგიერთ დე[illegible]ტებს, [illegible]ელებდენ ჭორებს [illegible] მაგრამ მათმა „მუშაო[illegible]“ არ გა[illegible]

[illegible]დეგები ასეთია:

[illegible] მდგომარეობის შეფასება [illegible] სწორი შეფა[illegible] [illegible]ხასმულია, რომ საერ[illegible] პროლეტარიატს დარჩენია მხოლოდ ერთი გზა: ძალაუფლების ხელში ჩაგდება და თავისი დიქტატურის დამყარება. საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ: გაკეთებული იქმნა ჯამი საბჭოთა ხელისუფლების ყველა მიღწევებისათვის, იმის აღნიშვნით, რომ მენშევიკების დროს საქართველო რეგრესის გზაზე იყო დამდგარი, საბჭოთა ხელისუფლების დროს კი პროგრესის გზაზე დგას ეკონომიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგებში.

ნაციონალური საკითხის შესახებ: ყრილობამ გამოიტანა დადგენილება, რომ კომპარტიამ სწორად გადასჭრა ნაციონალური საკითხი და რომ წითელი არმია უნდა დარჩეს საქართველოში იმ დრომდი, სანამ არსებობს ს. ს. რ. კავშირზე კაპიტალისტური სახელმწიფოების თავდასხმის საფრთხე.

პარლამენტარიზმის და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ყრილობამ განაცხადა, რომ დემოკრატიზმმა და პარლამენტარიზმმა მოსჭამეს თავის დრო და პროლეტარიატის დიქტატურა სასიცოცხლო საკითხია. დასასრულ ყრილობამ ყველა ამის შემდეგ დაადგინა, რომ ის დგას კომინტერნის პლატფორმაზე, სავსებით იზიარებს კომპარტიის თვალსაზრისს, ამიტომ არ არის საჭირო ახალგაზრდა მარქსისტების ცალკე ორგანიზაციების არსებობა და უერთდება კომკავშირს.

ამის შემდეგ ყრილობამ, რომელზეც წარმოდგენილი იყო 5025 წევრი (ორგანიზაციების 97 პროც.) დაადგინა გააუქმოს „ახალგაზრდა მარქსისტების ც.-კ.“, ჩამოართვას მანდატები საზღვარგარეთელ დელეგაციას და აუკრძალოს მას „ახალგაზრდა მარქსისტების“ ორგანიზაციების სახელით ლაპარაკი.

ასეთია ყრილობის შედეგები. ახალგაზრდობამ მონახა თავისი ადგილი, პროლეტარული რევოლიუციის ავანგარდის ადგილი, ის აქტიურად იბრძოლებს პროლეტარიატის პირველ რიგებში.

როგორ გრძნობთ თავს ბ-ნო ცეკისტებო?

არ მოგწონთ, არა? რას იზამთ!

გამოიტირეთ თქვენი უბედურება, რადგან ცრემლებში ჰპოვებთ თქვენ შვებას.

გ. დევდარიანი.

[illegible]ურეო ორგანოების დავალიანე[illegible] [illegible]ამზღვევი კასის მიმართ და მასთან ბრძოლა

[illegible]თასი არსებობისა და[illegible] მთავრეს ყურადღებას [illegible]ზღვევის ფონდში შემო[illegible] პროცენტო ანარიცხების [illegible] ეს ასეც უნდა ყოფი[illegible], დამზღვევი კასის [illegible] შემოსავალ წყაროს, [illegible] დაზღვეულთა მრავალ[illegible] [illegible]ლებებს აკმაყოფილებს, [illegible] საპროცენტო ანარი[illegible] შესახებ გამოცემულმა სავალდებულო დადგენილებამ არ იკმარა. პარტიის ცეკა, პროფკავშირები, შრომის კომისარიატის ორგანოები მაქსიმალურ დახმარებას გვიწევდენ ამ საქმის მოგვარებაში, მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელები მეორე ხარისხოვან საკითხად სთვლიდენ სოციალურ დაზღვევას და თავის მოვალეობათა უკანასკნელ რიგში აყენებდნენ.

საქმის ასეთმა ვითარებამ დამზღვევ კასას არ მისცა საშუალება შეესრულებია თავისი ვალდებულება სავსებით. ჯერ კიდევ გვესმის დაზღვეულთა ყრუ საყვედურები დახმარების სიმცირის შესახებ მიუხედავათ იმისა, რომ დახმარების ნორმები რეალურად თანდათან დიდდებოდა. დროებით შრომის უნარის დაკარგვის დროს დახმარება ჯერ კიდევ გასული წლის 16 აგვისტოდან იქნა ფაქტიურ ხელფასამდე აყვანილი, მაგრამ დახმარება პენსიონერებისათვის, უმუშევართათვის და ერთდროული დამატებითი სახის ჯერაც ვერ აღწევს 100 პროცენტს. რა არის ამის მიზეზი? რა თქმა უნდა ის, რომ დამზღვევმა კასამ ვერ გაინაღდა სამეურნეო ორგანოებიდან სავსებით დავალიანება. მართალია ინტენსიობის თანდათანობითი გამოჩენით, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოების დახმარებით, დამზღვევმა კასამ მიაღწია დავალიანების 80 პროცენტის განაღდებას, მაგრამ ამ წერტილს აუცილებლად უნდა გავსცილდეთ და კასებმა სავსებით მთელი 100 პროცენტი უნდა გაინაღდონ საპროცენტო ანარიცხებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ზოგიერთი სახის დახმარებანი, რომელიც ნორმის 70-ს არ აღემატება, 100 პროცენტამდე ვერ იქნება აყვანილი. ესეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, საგულისხმოა, რომ დავალიანების დაფარვა თუ პროგრესიული არ დარჩა და ერთ წერტილს ვერ გავსცილდით, დაზღვევის ფონდის ნაშთები სწრაფათ ქრება და კასა მუდამ დეფიციტს განიცდის, რასაც ადვილად მოჰყვება სხვა სახის დახმარებათა შემცირებაც. ამიტომ მართებთ სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთ დიდი ენერგიის გამოჩენა და ამ საქმისადმი სერიოზულად მოპყრობა. დამზღვევ კასის მუშაობაში არა ერთხელ აღნიშნულა, თუ რა დიდ როლს თამაშობს დაზღვევის საქმეში სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა. იყო ისეთი მაგალითი, რომ გამოიცვალა ამა თუ იმ ორგანოს ხელმძღვანელი და სულ სხვა სურათი მიიღო ამ ორგანოდან საპროცენტო ანარიცხების შემოტანამ. უსაღსრობაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება დაზღვევის პროცენტები დაზღვეული ჯამაგირის ნაწილს შეადგენს, და ჯამაგირის გაცემასთან ერთად დაზღვევის პროცენტების გადარიცხვაც უნდა ხდებოდეს.

ამ ჭეშმარიტების არ გაგებამ გამოიწვია სახ. კომ. საბჭოს დადგენილება (№ 54) საპროცენტო ანარიცხების იძულებითი წესით გადახდევინების შესახებ. ამ დადგენილებაში გათვალისწინებული წესებით დამზღვევ კასას აძლევენ დავალიანებასთან ბრძოლის საშუალებას, რამაც თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო დაზღვევის ფონდის რეალიზაციაში, მაგრამ იძულებითი წესებით შორს ვერ წავალთ. სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა უნდა იცოდენ, რომ წესიერად საპროცენტო ანარიცხების შეტანა დამზღვევ კასაში, ერთის მხრივ, ათავისუფლებს მათ ჯარიმისა, საურავისა და კურსის განსხვავების გადასახადისაგან და, მეორეს მხრივ, ამ საქმით ქომდება თვით წარმოების საქმეც—მუშა ძალის შრომის უნარიანობის შენარჩუნებით.

რ. ს. ფ. ს. რ.-ის წარმოება-მრეწველობის მთავარი მომწესრიგებელი ორგანო, სახ. მეურნეობის უმ. საბჭო სრული შეგნებით მოეპყრა ამ საქმეს და მან სამეურნეო ორგანოს ხელმომწერი ხელმძღვანელის უნარი გამოიჩინა. მან თავის ორგანოებს დაუგზავნა ცირკულიარული მიმართვა, რომ არ დაუშვან დამზღვევ კასებისადმი დავალიანება, რაც, როგორც ვსთქვით ზევით, იწვევს ზედმეტ გაუთვალისწინებელ ხარჯებს (კურსის განსხვავება, საურავი და სხვა). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ორგანოებიც ამ მაგალითს მიბაძავენ და დამზღვევ კასას მისცემენ უფრო მოწესრიგებული მუშაობის საშუალებას.

ი. ლ.

სამოქალაქო ომი გერმანიაში

(„ზაკროსტა“-ს ცნობები).

სოციალ-დემოკრატია დაშლის წინ: გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში თავი იჩინა 5 მიმართულებამ, რის გამო პარტია დაშლის წინ სდგას.

სოც.-დემ. პარტიის ბერლინის საოლქო კრება მეტად ამაღელვებელი იყო.

შავი ძალები: ბავარიის ფაშისტური რაზმი მზადაა ტიურინგიის საზღვრებში შესაჭრელად.

ფაშისტურ რაზმებს მხარს უჭერს რეიხსვერი.

მთავრობის „ზომები“: დოლლარი ღირს 100 მილიარდი მარკა.

მთელ გერმანიაში გრძელდება კომუნისტების დატუსაღება და კომუნისტური გაზეთების დახურვა.

ბავარიის კონფლიქტი ცენტრთან: ბავარიის მთავრობა მოლაპარაკებას დაიწყებს ცენტრალურ მთავრობასთან მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი უარს იტყვის თავის სიტყვებზე.

რა ხდება საქსონიაში

საქსონიის ახალი კაბინეტის ორგანიზაცია.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. საქსონიის ლანდტაგმა 46 ხმის უმრავლესობით 18 ხმის წინააღმდეგ პრემიერ-მინისტრათ აირჩია სოციალ-დემოკრატი ფელიში. ნაციონალისტებმა პროტესტის ნიშნათ სხდომის დარბაზი დასტოვეს. კომუნისტებმა მკაცრი დეკლარაცია გამოაქვეყნეს სოციალ-დემოკრატიის ღალატის გამო. 6 ნოემბრისათვის შედგენილი იქნება ახალი კაბინეტი, რომელშიაც ძველი მთავრობის წევრებიდან შევლენ მემარჯვენე სოციალ დემოკრატები ლიბმანი და ნეი. ამათ მიემატება ახალი წევრი—მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი ლაგინსკი. ცეიგნერი ახალ მთავრობის სიაში არ არის აღნიშნული.

სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს არ მიაქციონ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ცეიგნერი არ სცნობს მთავრობის გადადგომას. ლანდტაგის შენობაში ჯარის ადგილას დაყენებულია პოლიცია, ხოლო კომფრაქციის შენობა ისევ ჯარის ნაწილებს უკავია. სამინისტროების დაკავების დროს კომუნისტ-მინისტრებმა უარი განაცხადეს შენობის ნებაყოფლობით დატოვებაზე. ბეტხერი ძალით იქნა გაძევებული. სამინისტროების შენობები დაკავებულია ჯარით.

მხოლოდ ძალას დაემორჩილნენ.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. საქსონიის ყოფილმა მთავრობამ [illegible] განუცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტს, საიმპერიო მთავრობას და რეიხსტაგს ძალდატანებითი გადაყენების წინააღმდეგ. პროტესტში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მთავრობამ დასთმო მხოლოდ სამხედრო ძალმომრეობის გამო.

შტრეზემანი ჰესლერს აბრალებს.

ბერლინი. 30 ოქტ. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში შტრეზემანმა სთქვა, რომ, საქსონიის წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედების ინიციატივა ეკუთვნოდა ჰესლერს. სოციალ-დემოკრატ მინისტრები არა თუ თანახმა იყვნენ საქსონიის კომუნისტ-მინისტრების გადაყენებაზე, არამედ წინადადებაც შემოიტანეს მათი დაპატიმრების შესახებ. მთავრობამ უარყო ეს წინადადება ტაქტიკურ მოსაზრებით.

შტრეზემანმა იმედი გამოსთქვა, რომ კონფლიქტი ბავარიასთან მოგვარებული იქნება მიმდინარე კვირის დამლევს და განაცხადა, რომ ამჟამად საალყო წესების მოხსნა ზედმეტია.

მთელი ძალღონე—რეაქციის წინააღმდეგ.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. ბერლინის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც გმობს მთავრობის გამოსვლას საქსონიის წინააღმდეგ და მოითხოვს პარტიის ც. კ-სა და პროფკავშირებისაგან ყველა ძალთა მობილიზაციას რეაქციასთან საბრძოლველად.

სოციალ-დემოკრატია დაშლის წინ

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჯგუფები.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ხუთი ჯგუფი იბრძვის:

პირველი—ჯგუფი გეინესა და დავიდის მეთაურობით მომხრეა დიდი კოალიციის დატოვებისა.

მეორე—შეიდემანის მეთაურობით, მოითხოვს დათმობას საქსონიის საკითხში და ენერგიულ გამოსვლას ბავარიის წინააღმდეგ.

მესამე—კოხისა და სიმონის მეთაურობით—მერყეობს პირველ და მეორე ჯგუფის შორის.

მეოთხე—კრისპინის მეთაურობით, მომხრეა რომ, სოციალ-დემოკრატები მთავრობიდან გამოვიდნენ, რეიხსტაგი დაითხოვონ და ახალი არჩევნები დაინიშნოს.

მეხუთე—ლევის როზენფელდის და დიტმანის მეთაურობით მხარს უჭერენ იმ აზრს, რომ სოციალ-დემოკრატები მთავრობიდან გამოვიდნენ და კომპარტიასთან დაიწყონ თანამშრომლობა.

სოციალ-დემოკრატების საბოლოო გადაწყვეტილება გამორკვეული არ არის, მთავრობიდან გამოსვლის მომხრეთა რიცხვი სჭარბობს.

ჯერ-ჯერობით მხოლოდ მუქარით კმაყოფილდებიან.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. საიმპერიო მთავრობის სოციალ დემოკრატმა წევრებმა რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პრეზიდიუმს განუცხადეს, რომ გადაწყვეტილი აქვთ გადადგნენ. სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ მათ სათანადო ადგილები დაუთმონ მთავრობაში, ენერგიული ზომები მიიღონ ბავარიის წინააღმდეგ, და სამხედრო-საალყო წესები სამოქალაქო-საალყო წესებით შესცვალონ. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებიან, რომ მთავრობიდან გავლენ. ამ საკითხს გადასწყვეტს საპარლამენტო ფრაქცია.

საქსონიის ამბების გარშემო

ერთმანეთს აბრალებენ.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. ორშაბათს კაბინეტის ღამის სხდომაზე სოციალ-დემოკრატებმა გაილაშქრეს ჰეინცის და მიულერის მოქმედების წინააღმდეგ. გაზ. „ფორვერტსის“ სიტყვით, მდგომარეობა რთულდება კონფლიქტით შტრეზემანსა და ებერტს შორის, რომელმაც ხელი მოაწერა ბრძანებას საქსონიაში კომისრის დანიშვნის შესახებ იმ პირობით, რომ ბძანება ცხოვრებაში წინასწარ გატარებამდე განხილული იქნებოდა კაბინეტის და ფრაქციების ლიდერების მიერ. ამავე დროს შტრეზემანმა განახორციელა ბრძანება ამ პირობის შეუსრულებლად.

სოციალ-დემოკრატების გადაწყვეტილება

პირობები

ბერლინი 1 ნოემბერი. რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წარადგინა შემდეგი პირობები მთავრობის კოალიციაში სოციალ-დემოკრატების დარჩენის შესახებ: 1). სამხედრო საგანგებო მდგომარეობის შეწყვეტა. 2) გაბედული ზომების მიღება ბავარიის წინააღმდეგ, რომელმაც დაარღვია კონსტიტუცია 3) მხოლოდ პოლიციას დაევალოს საქსონიაში მშვიდობიანობის დაცვა, რეიხსვერის ჩარევა კი შეიძლება მხოლოდ სამოქალაქო კომისარის განკარგულებით.

ფრაქცია შეიკრიბება ხუთშაბათს, დღის 12 საათზე, რომელი დღისათვისაც უნდა იქნას მიცემული პასუხი ზემოხსენებულ მოთხოვნილებებზე.

წერილები ბერლინიდან

კონსტიტუციონური დიქტატურა.

მდგომარეობა დღითი დღე რთულდება. ყოველ ახალ დღეს ახალ-ახალი მნიშვნელოვანი ამბები მოაქვს.

13 ოქტომბერს შეიკრიბა რეიხსტაგი, რომელმაც შტრეზემანის მთავრობას, თანახმად მისი მოთხოვნილებისა, განსაკუთრებული უფლებები მიანიჭა. ორი დღის შემდეგ, პირველ სხდომაზე, რომელმაც გამოააშკარავა დიდი კოალიციის სრული უძლურება, კაბინეტმა განიცადა მარცხი, უმთავრესად იმიტომ, რომ რადიკალურმა უმცირესობამ თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან. მე არ ვიცი იყო თუ არა საერთოდ ხმის მიცემა, ან როგორ აძლევდენ ხმას, ამას არცა აქვს მნიშვნელობა. მაგრამ ეს რადიკალური უმცირესობა დარჩა დარბაზში და ამით შეავსო საჭირო ქვორუმი. რეიხსტაგის დათხოვნა ამით აცილებული იქნა.

ამრიგად ამჟამად, გერმანიაში ჩვენ გვაქვს „კონსტიტუციონური დიქტატურა“ და გვყავს „ძლიერი ადამიანი“.

ეს „ძლიერი ადამიანი“—შტრეზემანია, ვინაიდან როგორც ბავარიის დეპუტატები, ისე სოციალ-დემოკრატები დარჩენ დარბაზში ხმის მიცემის დროს.

ნამდვილათ კი ამ კომედიას, რომელსაც ცოტაოდენ ტრაგიკული ელფერი ჰქონდა, არაფერი არ შეუცვლია. დიდ კოალიციას უკვე არავითარი ავტორიტეტი არა აქვს. ყველაზე გავლენიანი ბურჟუაზიული ჯგუფები, რომლებიც შედიან დიდ კოალიციაში, ოცნებობენ მხოლოდ მემარჯვენე დიქტატურაზე, სრულიად არ ფიქრობენ პარლამენტზე და მით უფრო—სოციალ-დემოკრატ მინისტრებზე ისინი ფაქტიურად ატარებენ დიქტატურას, უფრო და უფრო ნათლად ხდიან ამას და აძლიერებენ ამ დიქტატურას.

სტინესი და ფიოგლერი უკარნახებენ მთავრობას შინაურ პოლიტიკას ფონ-კარი აწარმოებს საკუთარ პოლიტიკას და ცნობაც კი არ სურს ბერლინელ კანცლერის. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, ისინი ორ კატეგორიად იყოფიან: ერთი ჯგუფია, რომელიც გრძნობს, რომ აღვირ-ახსნილი რეაქცია მიაქანებს მათ სადღაც, მათ არ ძალუძთ მცირეოდენი წინააღმდეგობის გაწევაც კი, რომელიც ეპოტინება ოცნებას „კანონიერი ოპოზიციის“ შესახებ და ცდილობს შეინარჩუნოს რესპუბლიკანური სამოსელი. მეორე ჯგუფში შედიან ისინი, რომლებიც, გრძნობენ რა რეაქციის საფრთხის მოახლოებას, პირს იბრუნებენ კომუნისტებისაკენ.

წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის პარტიები დემოკრატები, კათოლიკური ცენტრი, პარლამენტში სუსტად არიან წარმოდგენილი და არ წარმოადგენენ რაიმე ძალას.

წვრილ და საშუალო ბურჟუაზიას, რომელიც გაძვალტყავა მსოფლიო ომ-

პრესტიჟი, არავითარი რეალური გავლენა.

ახლა დადგა პლუტოკრატების, მაღაროს პატრონების, სტინესების და სხვა სამხედრო ავანტიურისტების დრო, რომლებიც პირდებიან მათ პრეტორიანცების გვარდიით დახმარებას. ეს ავანტიურისტები არიან ჰიტლერის, ერხარდტი და როსბახი.

გადამწყვეტ ბრძოლების წინ საქსონიაში.

რამდენიმე დღეა, საქსონიას ჰყავს სამი კომუნისტი-მინისტრი*): ბრანდლერი, ბეტხერი და ჰეკკერტი. რამდენიმე დღის განმავლობაში კომუნისტი-მინისტრები ეყოლება ტიურინგიასაც.

შეუძლებელია ამაზე არანორმალური მოვლენა. სახელმწიფოში, სადაც შემოღებულია საალყო წესები, სახელმწიფოში, სადაც ერთი საზღვრიდან მეორემდი გადი-გამოდიან აჯანყების ტალღები, სადაც კომუნისტური პრესა მოსპობილია, სადაც ასეული კომუნისტები მრავალი წლების განმავლობაში სხედან ციხეებში—მთავრობაში შედიან რევოლიუციონერები იმ განზრახვით, როგორც ეს მათ ხმამაღლა და გადაჭრით განაცხადეს, რომ მოაწყონ პროლეტარიატის შეიარაღება, პროლეტარიატის დარაზმვა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ, ე, ი. სამოქალაქო ომი.

და შედიან როგორი რევოლიუციონერები!

მხოლოდ დასახელებაა მათი საკმაო, რომ წარმოვიდგინოთ მათი მთავრობაში შესვლის მნიშვნელობა. ბრანდლერი—გერმანიის კომპარტიის ყველაზე გავლენიანი ლიდერია. ეს ორმოცი წლის, ბეჭებ განიერი, ყოფილი კალატოზი 1921 წლის მარტის გამოსვლების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია, ის დაატუსაღეს, შემდეგ წელს კი გაიქცა ციხიდან რუსეთში, სადაც დაჰყო იმ დრომდი, სანამ ამნისტიით არ მიიღო სამშობლოში დაბრუნების უფლება.

ფრიც ჰეკკერტიც კალატოზია პროფესიით. ის ხუთი წლით ახალგაზრდაა ბრანდლერზე, მან გაიარა რევოლიუციონერების საერთო ეკლიანი გზა, იჯდა ციხეში. ერთხელ ის დაატუსაღა საქსონიის ერთმა მინისტრმა. ჰეკკერტი პარტიაში არის 16 წლიდან, ის ყოველთვის წინააღმდეგი იყო სოციალ-პატრიოტიზმის, მონაწილეობა მიიღო გერმანიის კომპარტიის დაარსებაში, წევრია მისი ცენტრალური კომიტეტის.

ბეტხერი—ასოთ-ამწყობია. იყო დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი. კომუნისტებს მიემხრო გალლეს კონგრესზე. 1920 წელს გენერალმა მერკერმა, კაპპის აჯანყების მონაწილემ, ბეტხერი კენიგშტადტის ციხეში დაამწყვდია. მუშებმა გაანთავისუფლეს ის. გენერალ მერკერის მეგობარი გენ. მიულერი დიქტატორული უფლებებით არის აღჭურვილი დრეზდენში, ბეტხერი კი—საქსონიის ფინანსთა მინისტრია.

გენერალი მიულერი გრძნობს ამ მდგომარეობის მთელ საშინელებას. მუშური მთავრობის შექმნაზე მან უპასუხა აშკარა ომის გამოცხადებით. მისი 13 ოქტომბრის ბრძანება: 1. დაშლილად აცხადებს მუშათა რაზმებს, რომელიც ლეგალურად მოეწყო ცეიგნერის მთავრობის ნებართვით, 2) წინადადებას აძლევს ყველას სამი დღის განმავლობაში ჩააბარონ სამხედრო სარდლობას მთელი მათ განკარგულებაში მყოფი იარაღი, კრძალავს მოქმედების კომიტეტების მოწყობას. ვინც ამ ბრძანებას არ აასრულებს, მათ გენ. მიულერი ემუქრება დატუსაღებით და ჯარიმებით.

ამ ბრძანებას, რომლის თითეული მუხლი იწყება სიტყვით: „მე ვკრძალავ“—უძღვის სპეციალური განმარტებები.

მსხვილი ბურჟუაზია სჩივის, რომ საქსონიის ზოგიერთ კუთხეებში მუშები „არღვევენ ცხოვრების მყუდროებას“. ბოლო უნდა მოეღოს ამ „ტერორს“ და ამიტომ „მე ვკრძალავ“.

„ფორვერტს“-იც კი აღშფოთებული იყო ამით. მოგვყავს მისი სიტყვები: „პროლეტარული რაზმები საქსონიაში დაშლილია. რეაქცია კი ბავარიაში კვლავინდებურად შეიარაღებულია. ახეთ პირობებში საალყო წესებ დაუშვებელია“ (ხაზი „ფორვერტსისაა“).

მოქალაქენო, გესმით თქვენ ეს სიტყვები?

ამხანაგებო, რომლებიც შედიან პროლეტარულ რაზმებში, დატუსაღებულია.

ფაბქარხკომების კონგრესი საქსონიაში და ტიურინგიაში, რომელიც უნდა შემდგარიყო 18 ოქტომბერს, აკრძალულია.

სხვა, ფრიად სერიოზული ღონისძიებები, რომლის შესახებაც „ფორვერტსი“ სდუმს, ავსებენ საქსონიაში შექმნილი მდგომარეობის სურათს.

გენერალი მიულერი, რომელიც ანიარაღებს პროლეტარიატს, აიარაღებს რეაქციას. დრეზდენში, ლეიპციგში და სხვა ქალაქებში რეაქციის შემადგენლობა შევსებულია მოხალი-

მოეწყო შერეული რაზმები, რომელსაც რეიხსვერი აწვდის ტყვია-წამალს, სამხედრო ფორმას და სხვა. დეპუტატმა ზივერტმა გამოააშკარავა, რომ 2500 ფაშისტი კავშირიდან „ფოლკის მუზარადი“ შეიარაღეს დრეზდენში და ერცგებირგში. გენერალმა მიულერმა დააკანონა ეს.

საალყო წესების მფარველობის ქვეშ წითელ გერმანიაში ეწყობა კონტრ-რევოლიუციონური არმია.

ჯერ კიდევ მუშური მთავრობის შექმნამდე, საქსონიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატების მთავრობამ გამოაცხადა, რომ ის მიიღებს ზომებს მრეწველების წინააღმდეგ, რომლებიც საბოტაჟს აწყობენ. მრეწველებმა შეაჩერეს მუშაობა მთელ რიგ წარმოებებში, რათა ამით გააძლიერონ უმუშევრობა და გაართულონ მუშების მდგომარეობა. მათ ასწავლიან ჭკუას! ჰეკკერტი, ბრანდლერი და ბეტხერი საქსონიის მთავრობაში ამის გარანტიას იძლევიან. მრეწველები იგრძნობენ „მაგარ ხელს“. მაგრამ ეს ფარული ბრძოლა არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ან საიმპერიო მთავრობა მხარს დაუჭერს გენ. მიულერს, გადააყენებს საქსონიის მთავრობას და მაშინ მუშებს არაფერი დარჩენიათ რა, გარდა საყოველთაო გაფიცვისა, რომელიც ძალაუნებურად მიიღებს აჯანყების ხასიათს, ან და საყოველთაო გაფიცვა აიძულებს გენ. მიულერს მეტის პატივით მოეპყრას მუშათა ორგანიზაციებს. სერიოზული ამბები, როგორც სჩანს, საქსონიაში აუცილებელია.

მდგომარეობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

რათა ნათელი გახდეს, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენენ გენ. მიულერის ბრძანებები, უნდა შევეცადოთ და წარმოვიდგინოთ განცდები ძველი სოციალ-დემოკრატ მუშისა, რომელსაც მისი გაზეთი აწვდის შემდეგ ცნობებს:

ბადენში ოლქის უფროსმა დაშალა მუშათა რაზმები. კომუნისტური „არბაიტერ ცაიტუნგ“ დახურეს. (11 ოქტომბერი).

„გენერალმა ლასბერმა აკრძალა „ნიდერრეგსიშე-არბაიტერ ცაიტუნგ“ („ქვედა საქსონიის მუშათა გაზეთი“) (11 ოქტომბერი).

8 დღით აკრძალვის შემდეგ, კვლავ დახურეს 14 დღით“.

„გეტინგენში დახურეს სოციალ-დემოკრატიული „ფოლკსბლაატ“.

„ბერლინში, გენერალმა ფონგორნმა აკრძალა მუშათა საკანტროლო ორგანიზაციების მოწყობა. გრძნობს რა, რომ ამ ორგანიზაციებს მიზნათ აქვს საზღვარი დაუდვან მემამულეების მადას, გენერალი ფონ-გორნი აცხადებს, რომ ამ ორგანიზაციების მოწყობისათვის დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან. ჯარებს ბრძანება მიეცა ესროლონ ყველას, ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს“.

„შტეტინში, გენერალი ფონ-გივიც, მეკლენბურგ-სტერლიცის სამხედრო გუბერნატორი უფრო უკეთესად იქცევა. მან აკრძალა გაფიცვები სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებში. გაფიცულებს კი დაპატიმრებით ემუქრება. არც ერთ ჯანსაღ მუშას არა აქვს უფლება გააცდინოს ერთი დღეც კი. **იმ შემთხვევაში თუ მუშა ავად გახდა, მოწმობა ავადმყოფობის შესახებ წარმოდგენილი უნდა იქნას ორი საათის განმავლობაში“.**

„როტე ფანე“ ბერლინში აკრძალულია. დაიჭირეს გამომცემელს. (მიუხედავათ აკრძალვისა, კომუნისტური პარტიის ორგანო რეგულიარულად გამოდის)

პირიქით, ნაციონალისტურმა გაზეთმა, „დეიჩე ცაიტუნგ“-მა, რომელიც „როტე ფანესთან“ ერთად აკრძალეს იმავე დღეს მიიღო გამოცემის გაგრძელების ნებართვა. ბერლინის ქუჩებზე აშკარათ ჰყიდიან „ვაისე ფანე“-ს („თეთრი დროშა“), ჰიტლერის გაზეთს, რომელიც ნიურენბერგში გამოდის. ყოველგან დაუბრკოლებლად ვრცელდება ფაშისტების სააგიტაციო ფურცელი „ფრიდერიკუს“ რომელიც ერთხელაც არ დაუხურავთ.

ფონ-კარმა ამ რამდენიმე ხნის წინათ განაცხადა, რომ მაიორი ერხარდტი, გერმანიის კონტრ-რევოლიუციის თვალსაჩინო ბელადი, რომელიც ლეიპციგის ციხიდან გაიქცა სამართლების წინ, თავისუფალია ყოველგვარი დევნისაგან ბავარიის მთელ ტერიტორიაზე. უმაღლეს სასამართლოს კი, რომელსაც ასეთი სილა გააწნა კარმა თავისი განცხადებით, პროტესტიც კი არ განაცხადი-

ვრობის პრესტიჟი ბავარიაში, გენ. ფონ ლოსსოვი... როგორც ამბობენ, გადადგომას აპირებს...

რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ უფრო გაბედული ნაბიჯები გადაადგმევინონ ბავარიის დიქტატორს. იმიტომ ხომ არა, რომ რეაქცია გადაჭრით მოითხოვს, რომ მას საშუალება მიეცეს სამსახურში იყოლიოს ყველა გამოცდილი ჯალათები?

უმაღლესმა სასამართლომ ლეიპციგში გაანთავისუფლა ლეიტენანტი როსბახი, რომელმაც მოაწყო ფაშისტური წრეები რეიხსვერში და რომელიც ამ რამდენიმე თვის წინათ დაატუსაღეს. მას ბრალდებოდა შეთქმულების მოწყობა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

პარასკევს და შაბათს ჰამბურგში, ლეიპციგში, ესენში, დიუსელდორფში, ჰანნოვერში, ფრანკფურტში — მაინცზე, ჰოლშტენკირხენში და ვისბადენში მოხდა გამოსვლები სიმშილობის ნიადაგზე. რამდენიმე სავაჭრო დაარბიეს. ღარიბ-ღატაკთა სისხლი დაიღვარა ქუჩებში.

... დოლარი 5 მილიარდი მარკა ღირს...

რას ფიქრობს მუშა-სოციალ-დემოკრატი ყველა ამ ამბების შესახებ? ყველაზე ნათლად გამოირკვა ეს დრეზდენში, სადაც სახელმწიფოს ყველა კუთხეებიდან ჩამოვიდნენ მუშათა დელეგაციები, რომელშიც უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნოდათ. ეს დელეგაციები მიესალმენ საქსონიის პირველ მუშურ მთავრობას და სთხოვდენ მას დახმარებას რეაქციის წინააღმდეგ.

⁂

„ფორვერტს“-მა როგორც იქნა თავი დაალწია გაურკვეველ მდგომარეობას. მან გუშინდელ ნომერში განაცხადა, რომ „საალყო წესები დაუშვებელია“. გაზეთი სწერს, რომ გენერალმა ფონ-გორნმა ბერლინში აკრძალა სოციალ-დემოკრატიული ანტი-ალკოგოლისტების საზოგადოების მანიფესტაციები. გაზეთი თავის წერილს ათავებს მოწოდებით: „ანტი-ალკოგოლისტებო, შეკავშირდით“!

მდგომარეობა რთულია და მძიმე. მაგრამ ვინ შეუწყო ხელი ამ მდგომარეობის შექმნას?

---

*) როგორც მკითხველმა იცის, კომუნისტებისა და მემარცხენე სოციალ-დემოკრატების მთავრობა საქსონიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „კომუნისტი“-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა ამით აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ ნოემბერში გაზ. „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში შინ მიტანით . . . 13.000.000 მან.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის 14.000.000 მან.
კოლექ. ხელის მოწ. მხოლოდ მუშებ. 10.000.000 მან.

ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა ყველასათვის 2.000.000 მან.
ერთი ეგზემპლიარი . . . 1.000.000 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს ხვედრი ფული თავის დროზე შემოიტანონ, ვინაიდან **გაზეთი ნისიათ არავის გაეგზავნება.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი, წინადადებას აძლევს ყველა რაიკომებს, დღეს 2 ნოემბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

უჯრედების ღია კრებებზე წითელ არმიელთა ნაწილების თანადასწრებით დასმულ იქნეს დღის წესრიგში საკითხი

ოქტომბრის რევოლუციის მე-6-ე წლის თავის შესახებ.

მასალებათ გამოყენებული იქნეს რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის თეზისები.

ტფ. კომიტეტის მდივანი: **რუბენი.**

შაბათს, 3 ნოემბერს, ა. წ. საღამოს 6 საათზე, აღმასკომის შენობაში მოწვეულია

აღმასკომის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგისა, როგორც ქ. ტფილისში აგრეთვე მის მაზრაში სახალხო განათლების საჭიროებებზე.
2. ტფილისის მაზრის რაიონებად დაყოფა.
3. საბჭოს გადარჩევა.
4. მიმდინარე საქმეები.

დასწრება აღმასკომის ყველა წევრთა და მათ კანდიდატთა სავალდებულოა.

პრეზიდიუმი. 718—1—1

რას ფიქრობენ სოციალ-გამყიდველები

ბერლინის ეზდეკების პასუხისმგებელ მუშაკთა კონფერენცია.

ბერლინი, 30 ოქტომბერი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბერლინის ორგანიზაციის პასუხისმგებელ მუშაკთა კონფერენცია მეტად მღელვარე იყო. საქსონიის საკითხში და ფრეიბერგში რეიხსვერის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა კიუნსტერმა, რომელმაც მოიყვანა ცნობები საიმპერიო მთავრობის მიერ შავი რეიხსვერისათვის ფინანსიურ დახმარების აღმოჩენის შესახებ და მოითხოვა სოციალ-დემოკრატ-მინისტრების გადადგომა.

ებერტის პოლიტიკა და „ფორვერტსის“ პოზიცია კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მატილდავურმმა, რომელმაც განაცხადა, რომ „მიუხედავად კომუნისტური ტაქტიკის შეცდომისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის პოლიტიკა მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ, ხოლო მუშათა მოძრაობის მემარცხენე ელემენტები კი მის სასარგებლოთ მოქმედებენ“.

ფრეიბერგელ მუშას პიტტიგს მოჰყავს ცნობები ფრეიბერგში მომხდარ სისხლისმღვრელ შეტაკებების შესახებ, რომლის დროსაც რეიხსვერის ფაშისტურად განწყობილი ნაწილები პროვოკაციის ქსელში ახვევდენ მუშებს. შეტაკების დროს მოკლულ იქნა 27 და დაჭრილია 80 კაცი.

შტეინი მიუთითებს საფრთხეზე, რომელიც მოსალოდნელია ბავარიის მხრივ, სადაც თავმოყრილია ფაშისტური ძალები, რომლებიც ემზადებიან ბერლინზე გასალაშქრებლად ფაშისტურ დიქტატურის დამყარების მიზნით. შტეინმა განაცხადა: „სოციალ-დემოკრატია გზა-ჯვარედინზე სდგას. მას მოელის ან სამარცხვინო დაღუპვა, ან ბრძოლა ბოლომდის მუშათა კლასის სახელის დაცვით“.

მიღებულ რეზოლიუციაში კონფერენცია ჰკიცხავს საიმპერიო მთავრობის მოქმედებას საქსონიის წინააღმდეგ, მოითხოვს ენერგიულ მოქმედებას ბავარიის მიმართ და მთავრობიდან სოციალ-დემოკრატების დაუყოვნებლივ გამოსვლას, რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადებას და გენერალურ გაფიცვის გამოცხადებას. **მეორე რეზოლიუციაში კონფერენცია მოითხოვს პარტიიდან ებერტის დაუყოვნებლივ გამორიცხვას.**

პრესის აზრი საქსონიაში მომხდარ ამბების შესახებ

განგაში

ბერლინი. 30 ოქტომბერი. გაზ. „ფორვერტსი“ ილაშქრებს გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ საქსონიაში მომხდარ ამბების, გამო და ბრალს სდებს შტრეზემანს დაპირების დარღვევაში.

შტრეზემანის გაზეთი „ცეიტი“ სცდილობს მთელი პასუხისმგებლობა საქსონიის მინისტრების დათხოვნისათვის დააკისროს საიმპერიო კომისარს ჰეინცს, ამტკიცებს რა, რომ მან დამოუკიდებლად მოახდინა განკარგულება საქსონიის მთავრობის ძალით დათხოვნის შესახებ. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ მთავრობის სოციალ-დემოკრატმა წევრებმაც მისცეს ხმა საქსონიის წინააღმდეგ გამოსვლას და აფრთხილებენ სოციალ-დემოკრატებს იმ შედეგებისაგან, რომელიც მოჰყვება მათ გამოსვლას მთავრობიდან.

საყოველთაო გაფიცვები რაიონში.

ბერლინი. 30 ოქტ. ხემნიცში, ბაუტცენში, ფრეიბერგში და მთელ სამხედრო-სამრეწველო რაიონში გამოცხადებულია საყოველთაო გაფიცვა.

ბავარიის კონფლიქტი ცენტრთან

კონფლიქტის გადაჭრის შესახებ.

ბერლინი. 30 ოქტომბერი. შტრეზემანის განცხადება პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ბავარიის კონფლიქტის ახლო მომავალში გადაჭრის შესახებ მოხდა სწორეთ იმ დროს, როდესაც გამოქვეყნდა ბავარიის მთავრობის ოფიციალური ცნობა, რომლის მიხედვით ბავარიის მთავრობას განზრახული აქვს უპასუხოს შტრეზემანის მოთხოვნილებას იმის შემდეგ, როდესაც საბოლოოთ და პრინციპიალურათ გადაიჭრება საკითხი საიმპერიო მთავრობის და გერმანიის ცალკე სახელმწიფოების ურთიერთობის შესახებ.

ცვლილებები სამხედრო სარდლობის და ბავარიის რეიხსვერის პირად შემადგენლობაში მიუღებელია ბავარიისათვის. ბავარიის ელჩი ბერლინში—პრეგერი აწარმოებს მოლაპარაკებას შტრეზემანთან. დემოკრატებმა და ცენტრის პარტიამ რეიხსტაგის ფრაქციულ სხდომებზე მიიღეს რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვენ ენერგიულ პოლიტიკას ბავარიის მიმართ.

მეორე ვერსია.

ბერლინი. 30 ოქტომბერი პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ზელმანმა განაცხადა, რომ ბავარია ალბათ გასწყვეტს კავშირს ბერლინთან. ზელმანმა განაცხადა: „ჩვენ კარგათ უნდა გვახსოვდეს, რომ ბავარიის კონტრ-რევოლიუცია დაიწყებს შეტევას დანარჩენ გერმანიაზე“.

შავი ძალები

ფაშისტური მანევრები საზღვარზე.

ბერლინი 30 ოქტომ. გრძელდება არალეგალურ ფაშისტურ რაზმების თავისმოყრა ტიურინგიის საზღვარზე. კობურგში თავმოყრილია ერხარდტის ბრიგადა არტილერიით და ტყვიისმფრქვევლებით. მებრძოლი ფაშისტური ორგანიზაცია „საიმპერიო ფლაგი“ დაბინავდა კრონახში.

ფაშისტურ მანევრების გამო სამხრეთ ტიურინგიაში ძლიერი მღელვარებაა.

პრესის გაცხარებული კამპანია.

ბერლინი. 30 ოქტ. გერმანიის მემარჯვენე პრესა გაცხარებულ კამპანიას აწარმოებს ტიურინგიის მუშათა მთავრობის წინააღმდეგ, და მოითხოვს იქიდან კომუნისტების დაუყოვნებლივ გაძევებას.

საქმე ჰამბურგის აჯანყების შესახებ.

ბერლინი. 30 ოქტომ. ჰამბურგის აჯანყების გამო პასუხისგებაში მიცემულია 400 მეტი კაცი. მოსალოდნელია სიკვდილით დასჯა.

ჰამბურგელ კომუნისტების ტიულმანის და რუბანის დაპატიმრების შესახებ ცნობა არ არის დადასტურებული.

წმინდა სამება.

ბერლინი. 30 ოქტომ. მიუნხენიდან მიღებულ ცნობების თანახმად, დაახლოვება კარსა, ლიუდენდორფსა და ჰიტლერს შორის თანდათან ძლიერდება. ჰიტლერის მომხრეების ორგანო „სამშობლო“ აღნიშნავს, რომ ბავარიამ უნდა დაიპყროს გერმანია გერმანიის ხალხისათვის და, საერთოდ, ბავარია უნდა გახდეს გერმანიის ბედის გადამწყვეტი. გერმანიის სიმძიმის ცენტრი ბერლინიდან გადატანილ უნდა იქნეს მიუნხენში.

ჟანდარმერიის და ფაშიზმის ბლოკი კომუნისტების წინააღმდეგ.

ბერლინი. 30 ოქტომ. ბავარიის ჟანდარმერიის ნაწილებმა ბავარიის საზღვარზე საქსონიასთან და ტიურინგიასთან მიიღეს **კარისაგან საიდუმლო ინსტრუქცია, რომლითაც მათ ევალებათ მიიღონ წინასწარი ზომები, გამოარკვიონ სოციალ-დემოკრატიულ და კომუნისტურ ორგანიზაციების რიცხვი, თვალყური ადევნონ კომუნისტური და სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციების პასუხისმგებელ მუშაკებს. კარი წინადადებას აძლევს ჟანდარმერიას მჭიდროთ ითანამშრომლოს ბავარიის ფაშისტებთან.**

კარი აყენებს პირობებს.

ბერლინი. 1 ნოემ. ბავარიის კაბინეტი ამზადებს პასუხს ცენტრალური მთავრობის მოთხოვნილებებზე. პასუხში აღნიშნული იქნება, რომ **ბავარიის მთავრობა მზათ არის დაიწყოს მოლაპარაკება ბერლინის მთავრობასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი უკან წაიღებს თავის განცხადებას იმის შესახებ, რომ ბავარიის მთავრობამ** დაარღვია კონსტიტუცია.

მთავრობის „ზომები“

მარკის კურსი.

ბერლინი. 1 ნოემბერი. ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ დოლარის კურსი უდრის 100 მილიარდ მარკას.

კარტოფილი სანატრელი გახდა მუშებისათვის.

ბერლინი. 30 სექტ. სურსათ-სანოვაგის ფასი ბერლინში უფრო და უფრო მაღლა იწევს. ერთად ერთი ხელმისაწვდომი საჭმელი მუშისათვის არის კარტოფილი. ფინანსიური წრეების აზრით, რეიხსბანკს არ ძალუძს დაიცვას მომავალში მარკის სტაბილიზაცია.

მოხელეების შემცირება 25 პროცენტით.

ბერლინი. 30 ოქტ. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ განზრახულია სახელმწიფო მოსამსახურეების რიცხვის შემცირება 25 პროცენტით.

კუნოს მოხსენება შტრეზემანისადმი.

ბერლინი. 1 ნოემბერი. ყოფილმა კანცლერმა კუნომ წარუდგინა შტრეზემანს მოხსენება ამერიკაში მისი გამგზავრების შესახებ. კუნოს სიტყვით ამერიკის პრეზიდენტს კულიჯს არ სურს განზე დგომა ევროპის საქმეებიდან, როგორც ამას შვრებოდა ამერიკის პრეზიდენტი გარდინგი.

30 კომუნისტის დაპატიმრება.

ბერლინი. 1 ნოემბერი. მეკლენბურგ-სტერლიცში დააპატიმრეს 30 კომუნისტი, რომელთაც ბრალი დასდეს ქალაქის ძალაუფლების ხელში ჩაგდების განზრახვაში.

სეპარატისტული მოძრაობა

შეტაკება სეპარატისტებსა და ფაშისტებს შორის.

პარიჟი. 1 ნოემბერი. ბონეუში (ბელგიის საოკუპაციო ზონაში) მოხდა შეტაკება სეპარატისტებსა და ნაციონალისტებს შორის.

ძარცვავენ შემნახველ კასებს.

ბერლინი 1 ნოემბერი. მთელ რეინის ოლქში სეპარატისტები თავს ესხმიან შემნახველ კასებს. ტრიერში სეპარატისტებმა დახვრიტეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც აკრავდა პროკლამაციებს, რომელშიაც იყო მოწოდება გერმანიის სახელმწიფოს ერთგულებათ დარჩენისაკენ.

მაინცში მოსახლეობამ მოიგერია სეპარატისტების თავდასხმა, რის შემდეგაც სეპარატისტებმა გამოაცხადეს ქალაქში საალყო წესები და გააძევეს ქალაქიდან 16 ცნობილი მოქალაქე. სეპარატისტები მეორეჯერ დაესხნენ ქალაქს და დაიკავეს ის.

საკონტრიბუციო საკითხის გარშემო

საკონტრიბუციო კომისიაში

ბერლინი. 1 ნოემბ. მოკავშირეთა საკონტრიბუციო კომისიის გუშინდელ სხდომაზე გადასწყდა გერმანიის უკანასკნელი ნოტის განხილვა გადადებულ იქნას ექსპერტთა კონფერენციის საკითხის გამორკვევამდე. გადადებულ იქნა აგრეთვე გერმანიის წარმომადგენლის მოხსენების მოსმენა. როგორც პარიზიდან იუწყებიან, ინგლისის დელეგატმა საკონტრიბუციო კომისიაში განაცხადა, რომ თუ გერმანიის წარმომადგენელს მოუსმენენ ინგლისის მთავრობის მიერ ექსპერტთა კონფერენციის საკითხის გადაჭრამდე, ის კენჭის ყრაზე დააყენებს საკითხს, ეთანხმება თუ არა საერთოდ რურის ოკუპაცია ვერსალის ხელშეკრულების პირობებს.

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება.

ბერლინი. 1 ნოემბ. ვინაიდან ამერიკის მთავრობამ მისაღებად სცნო პუანკარეს პასუხი, ინგლისის მთავრობამ დაავალა კერზონს დაიწყოს მოლაპარაკება პუანკარესთან იმის შესახებ, თუ როგორი საკითხების განხილვა დაევალება ექსპერტთა კონფერენციას.

გერმანიას უნდა დავეხმაროთ

გერმანიის მშრომელთა ბავშვების დამხმარე ლიგის მოწოდება

გერმანიის ბავშვები შიმშილით იხოცებიან.

„გერმანიის პროლეტარიატი შიმშილობს. მუშებს არ გააჩნიათ არც ერთი გირვანქა შავი პური. ლუკმა პურის საშოვნელად, მუშები და მუშა ქალები ღამ-ღამობით დარბიან მემამულეთა ბისტებსა და მინდვრებში, მაგრამ **ლუკმა პურის და კარტოფილის მაგიერ მათ უმასპინძლდებიან ტყვიით. შიმშილობის ნიადაგზე ბევრი იკლავს თავს.**

მაგრამ მოზრდილთა ტანჯვა ვერ შეედრება გერმანიის მშრომელი ხალხის ბავშვთა გაწამებას. გერმანიის ბავშვები განწირულნი არიან ნელნელა სიკვდილზე. ბერლინში, სიმშილის ნიადაგზე, ბავშვების 80 პროც. დაჩლექებულია. მთელს გერმანიაში ჭლექიან ბავშვთა რიცხვი 3 მილიონზე მეტია. ბერლინში უსაცვლებოდ, უფეხსამოსოთ და ურძეოთ არის დარჩენილი 40,000 ძუძუმწოვართა და 190,000 პაწია ბავშვი. ესსენში 42,000 ბავშვს არ გააჩნია პერანგი. მიუნჰენში ჯერ შარშან ზამთარში ბავშვების 40 პროც. ფეხშიშველი დაიარებოდა სკოლებში. სიმსივნისაგან დასიებული, შიშველტიტველი, მშიერი და დასნეულებული ბავშვები თავის მშობლების თვალწინ ათასობით იხოცება.

ჩვენი ვალია ამ უბედურების გადარჩენა.

ამხანაგო მუშებო, მუშა-ქალებო, გლეხებო და გლეხის ქალებო, **ჩვენი ვალია ამ გაჭირვების დროს მივეშველოთ გერმანიის მშრომელთა ბავშვებს და ვიხსნათ ისინი შიმშილით სიკვდილისაგან.** წითელ მოსკოვში მუშებმა უკვე მოაწყვეს ამ დახმარების საქმე. დამხმარე ლიგაში ყველა მშრომელისათვის გზა გახსნილია: ყველას, ვინც კი ყოველთვიურად შემოიტანს 5 კაპიკს ოქროთი და აქტიურად დაეხმარება ლიგის მოღვაწეობას, შეუძლიან გახდეს ლიგის წევრად. მხოლოდ საკავშირო საბჭოს მშრომელთა დახმარებით შეიძლება შეგროვდეს თანხა, გერმანიის დამშეულ ბავშვებისათვის დაუყოვნებელი დახმარების აღმოსაჩენად.

მუშებო და გლეხებო! მიჰბაძეთ მოსკოვის მუშებს! თქვენს სადელეგატო კრებებზე შეადგინეთ სრულიად გერმანიის დამშეულ ბავშვთა საკავშირო ლიგის განყოფილებანი!

მუშებო! ჩაეწერეთ ლიგის წევრად!

ყველა მშრომელნო, გადასდეთ ფული, შესწირეთ ფულით ან სულადით (ნატურით), ორგანიზაციულად გადაგზავნეთ ეს შემოწირულებანი გერმანიის დამშეულ ბავშვთა დამხმარე სრულიად საკავშირო ლიგის სახელობაზე.

გაუმარჯოს მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას“!

მდგომარეობა ჩეხო-სლოვაკიაში

ბენეშის სიტყვა ჩეხო-სლოვაკიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

პრაგა. 30 ოქტ. პარლამენტის შემოდგომის სესიის გახსნის დროს ბენეშმა მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა ჩეხო სლოვაკიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, განაცხადა: **„ჩვენი მიზანია—დაუკავშირდეთ სამუდამოთ საფრანგეთს საზავო ხელშეკრულებების დასაცავათ.** ჩვენ იმედი გვაქვს, რომ აღმოსავლეთშიაც გამოვნახავთ ნიადაგს თანამშრომლობისათვის. ამ მიზანს ემსახურება ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ეხლანდელ რუსეთისა და რუსეთის ემიგრანტების მიმართ. ვფიქრობთ, რომ **ეს პოლიტიკა საშუალებას მოგვცემს მეგობრული დამოკიდებულება დავამყაროთ რუსეთთან.**

გერმანიის ამბების მიმართ ჩვენ ვიქნებით ნეიტრალური. საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვს, რომ ჩეხო-სლოვაკია შეუთანხმდეს პოლონეთს: იმედი მაქვს, რომ მომავალი მოლაპარაკება უზრუნველჰყოფს ურთიერთ თანამშრომლობას; ამ მოლაპარაკების დროს კომპრომისის საშუალებით აცილებული იქნება ის უთანხმოებანი, რომელსაც ეხლა აქვს ადგილი“.

იაპონიის ჟანდარმების „მუშაობა“

1 მილიონი ლტოლვილი ტოკიოს რაიონში.

ტოკიო. 30 ოქტომბერი. ლტოლვილთა რიცხვი ტოკიოს რაიონში 1 მილიონს აღწევს.

ორი სკანდალი.

ვლადივოსტოკი. 30 ოქტომბერი. გაზეთი „პეკინ დეილი ნიუზ“-ი სწერს: „სოციალისტ ოსუგის მკვლელ ჟანდარმ ამაკაოუს საქმემ ორი სკანდალი გამოიწვია. პირველში გამომჟღავნდა ამაკაოუს კავშირი სამხედრო წრეებთან, კერძოთ, ამაკაოუს ერთ-ერთ მოსამართლე პოლკოვნიკ ოგავასთან. მეორე სკანდალი ნათელჰყოფს ჟანდარმერიისა და პოლიციის მოღვაწეობას. ორივე ფაქტმა ააღელვა სასამართლოს დამცველნი, რომლებმაც სამხედრო ხელისუფლებას მიმართეს ინსტრუქციებისათვის.

ფიქრობენ, რომ ამაკაოუს საქმე თანდათან მიფუჩეჩებული იქნება. საქმის განმეორებითი გარჩევა, რომელიც დანიშნული იყო 10 [illegible]
სათვის, გადადებულია. ზოგ[illegible]
ბულმა გამომჟღავნებამ დაა[illegible]
რომ ამაკაოუმ ბოროტმოქმედ[illegible]
დინა არა პირადი ინტერესით,
მედ უმაღლეს მთავრობის ბრძ[illegible]
თანახმად.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

მიბაძეთ ბორჩალოს პარტკომს!

ბორჩალოს სამაზრო პარტკომმა შემოიტანა გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ 21 ჩერვონეცი და 383.000.000 მ. შემომწირველთა შემდეგი სიით: 1. ვასილ ქუჟუნავა—100 მილიონი მან., 2. ჟდანოვი—25 მილ., 3. ამილახვარი—30 მილ., 4. შაბანოვი—35 მილ., 5. ნაზაროვი—25 მილ., 6. ქ. შულავერის მუშა-მოსამსახურეებისაგან—6 ჩერვონეცი, 7. ლიუქსემბურგში ქალთა განყოფილებისაგან გამართული წარმოდგენისაგან—12 ჩერვონეცი და 38 მილ., 8. ლიუქსემბურგის მთლიან მომხმარებელ საზოგ. თანამშრომელთაგან—3 ჩერვ. და 75 მილიონი მ., 9. კარმარიდისაგან—25 მილ., 10. გოლუბიატნიკოვისაგან—25 მილიონი და 11. რუბენ გარუტოვისაგან—5 მილიონი. სულ—21 ჩერვონეცი და 383 მილიონი მანეთი. შემოწირულებათა მოგროვება გრძელდება.

—

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ და ჩემის მხრივ ვიწვევ ქალაქ ფოთიდან „ეკო“-ს მაღაზიის გამგეს ემელია ნოდიას, ტეხნიკუმის გამგეს ფილიმონ ნადარეიშვილს, სახელოსნო სკოლის გამგეს პლატონ ხოჭოლავას, ბარნაბ ლაბარტყავას და სახელოსნო სკოლის მასწავლებელს ნესტორ ჭათავას.

ს. მურიძე.

—

ამხ. გიგო ლომთათიძის გამოწვევის საპასუხოდ შემომაქვს გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ ერთი ჩერვონეცი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ბათომიდან პლატონ ჯიქიას, ელიზბარ მასხულიას და ილიკო შენგელიას.

ტფილისიდან—შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალური განყოფილების გამგეს კონსტ ნანეიშვილს და ყველა სამაზრო და საქალაქო კომუნალური განყოფილების გამგეებს.

ქუთაისიდან—ილიკო მასხულიას და თომა გოცაძეს.

ფოთიდან—დინა სალონიკიდისა, ქსენია შმიდტისა, სოფია საბახტარაშვილისა, ნავთსადგურის უფროსს ქორქოლიანის მეუღლეს და ამხანაგებს: ილარიონ მოსეშვილს, სანდრო ესაკიას, გიორგი ბაკუჩავას და მიხეილ საბახტარაშვილს.

ნ. მეიშვილი.

—

შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ერთი ოქროს ბეჭედი და 50 მილიონი მანეთი ა.-კ. ბონებით და მოუწოდებ ყველა ამხანაგებს ნუ დააგვიანებენ თავის წვლილის გაღებას.

ს. ქაჯაია.

—

კოჯორის სამილიციო რაიონის თანამშრომლებმა გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ თვითეულმა გაიღო სამ-სამი მილიონი მანეთი: კილურაძე გერმანე, მუსელიანი ვალერიანე, მოსეშვილი ვასილი, [illegible] მიხეილ, კუსიანცი გიორგი, აველიხაშვილი პავლე, არჩვაძე დიმიტრი, [illegible]ნიტაშვილი პეტრე, სეფერთელაძე პეტრე, მერეკლიშვილი მიხეილ, [illegible]ჯიანი გიორგი, თელია დავითი, ახვლედიანი ნაუმ, ვარდიევი ალექსანდრე, პლესკოტინი ვასილი. სულ: 45.000.000 მანეთი.

—

გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ ვწირავ 15 მილიონს [illegible] ვიწვევ ამხ. აცანის შრ. სკ. გამგეს არისტრახო ნ. ჩხაიძეს, აცანის [illegible] ტელ. გან. გამგეს ა. პატარაიას, აცანის მასწ. შალვა ხუხუნაიშვილს, [illegible]კო ჯიჯიეშვილს და მასწ. ნესტორ მალაზონიას (ძიმითი).

მიშა კოლუაშვილი.

—

შემოვიდა 1 ნოემბერს:

ბორჩალოს სამაზრო პარტკომი 21 ჩერვონეცი და 383.000.000 მა[illegible] ს. მუსელიძე და ნ. მეიშვილი 2 ჩერვონეცი, ქართული დივიზიის [illegible] საკავშირო ასეული 341 280.000 მანეთი, ც. ს. ქაჯაია 1 ოქროს ბეჭედი 50.000.000 მანეთი, კოჯორის სამილიციო რაიონის თანამშრომ[illegible] 45.000.000 მანეთი, ი. გომართელი 37.000.000 მანეთი, მიშა კოლუაშ[illegible] 15.000.000 მანეთი.

სულ 23 ჩერვონეცი, 1 ოქროს ბეჭედი და 871.280.000 მანეთი.

ნივთად შემოსულით: 291 ჩერვონეცი, 9 ნახ. გირ. ინგ. სტერლ[illegible] 30 ნახ. ოსმალური ქაღ. ლირა, ერთი ოქროს ჯვარი, 9 ოქროს ბეჭ[illegible] ოქროს სამაჯური, 1 ოქროს საგულე, 1 ოქროს საყურე, 1 [illegible] კოვზი, 34 ვერცხლის მანეთი, 2 [illegible] რგოლი და 7.785.087 მანეთი.

პოლონეთის ამბები

საგაფიცვო მოძრაობა

შტრეიკბრეხერები მთავრობის მფარველობით სარგებლობენ.

ვარშავა. 30 ოქტ. მობილიზაციით გაწვეულ რკინისგზელთა ერთი ნაწილი ვარშავაში მუშაობას შეუდგა. პოლონეთის ყვითელმა პროფკავშირმა მთავრობას მიმართა შუამდგომლობით შტრეიკბრეხერ-რკინისგზელთა დაცვის შესახებ. გაფიცვა სუსტათ მიმდინარეობს. საგაფიცვო მოძრაობა პროვინციაში უცვლელია. კრა[illegible] და პოზნანის ფოსტის მუშა-მოსა[illegible]ხურეთა გაფიცვა გრძელდება. ვა[illegible]ვის ფოსტა-ტელეგრაფი მუშ[illegible] შეუერთდენ გაფიცვას. [illegible]ოძში მ[illegible]მარეობა უცვლელია.

მოხელეების დათხოვნა.

ვარშავა. 30 ოქტ. ახლი [illegible] საქმეთა მინისტრის [illegible] შვნასთან ერთად მოხდ[illegible] გარეშე [illegible] მეთა სამინისტროს საქვე[illegible] ხურეთა მასიური დათხოვნა.

კოოპერაციის ნივთიერი ღონისძიებანი

(დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 249)

სხვა ღონისძიებანი

გარდა საპაიო თანხისა, რომლის რაოდენობაზეც რამდენადმე დამოკიდებულია ამა თუ იმ კოოპერატივის სიძლიერე, არის კიდევ სხვა თანხები: სათადარიგო, საგანგებო და სხვა...

სათადარიგო თანხა გროვდება წმინდა მოგებიდან პროცენტების გადარიცხვით, ხოლო საგანგებო თანხა—იმავ ანარიცხებისაგან, შეწირულებათაგან და სხვა,—საგანგებო მიზნისათვის.

სათადარიგო თანხის შექმნას ორნაირი მიზანი აქვს. პირველი ის, რომ იგი უზრუნველჰყოფს წევრთა საპაიო გადასახადის შენახვას, მეორე ის, რომ მას აქვს ხასიათი ისეთი საშუალებისა, რომლის გაყოფაც წევრთა შორის არ შეიძლება; ამას გარდა იგი ჰქმნის ისეთს პირობებს, როდესაც საზოგადოებას აღარ უხდება სარგებელი მისცეს პაის პატრონთ და კერძო პირთ, ან დაწესებულებებს დაბანდებულ თანხაში. სათადარიგო თანხის გადადება ამ რიგად კოოპერატივს საშუალებას აძლევს, რომ არსებობა არ შეწყვიტოს იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც საანგარიშო წელიწადი ზარალით თავდება.

ამ გზით, თუ გნებავთ, ისეთი ფონდი არსდება, რომელიც ცალკე წევრებს კი არ ეკუთვნის, არამედ მთელს საზოგადოებას, როგორც იურიდიულ პიროვნებას. უმთავრესად სწორედ ეს თანხა აძლევს კოოპერაციას საზოგადოებრივ ხასიათს.

წმინდა წყლის კოოპერატორები, ანუ ისეთები, რომელნიც ფიქრობენ კოოპერატიულ მუშაობით სამოთხეში შესვლას, მთელს თავის იმედებს ამ-

დაქმნას მუდმივ მომქმედ ორგანიზაციად, განვითარდეს, გამოსდევნოს კერძო კაპიტალი და გადააქციოს იგი მთელი საზოგადოების სამკვიდრებლად.

ნურას ვიტყვით იმაზე, თუ კოოპერაციის მნიშვნელობის ასეთ გაგებას რამდენად ამართლებს პოლიტიკური პირობები მშრომელთა არსებობისა ბურჟუაზიულს სახელმწიფოებში.

საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც პოლიტიკური ძალა-უფლება კომუნიზმისთვის მებრძოლ პროლეტარიატის ხელშია, როდესაც უმთავრესი მწარმოებელი ერთეულები სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს, მეტად დიდია მნიშვნელობა ისეთ კაპიტალის დაგროვებისა, რომელიც კერძო პირთ კი არ ეკუთვნის, არამედ მთელს საზოგადოებას. თუ საქმიან კავშირს დავიჭერთ კოოპერაციასთან, რომელსაც ისეთივე მიზნები აქვს, როგორიც სახელმწიფოებრივ მრეწველობას და ვაჭრობას,—ისეთი შედეგის მიღება შესაძლებელია, რომელიც ჯერ კიდევ არ უნახავთ არც ერთ მოწინავე ბურჟუაზიულ ქვეყანაში.

ამიტომ საჭიროა, ყურადღება მიექცეს საქმის ამ მხარეს. გასაკვირია, რომ საქართველოში ძალიან ცოტაა შემთხვევები პროცენტების დამატებისა საპაიო თანხაზე. მომეტებულ შემთხვევებში მოგების განაწილების დროს წევრთა კრებას მთელი მოგება, სპეციალურ მიზნისა და კულტურულ საჭიროებათათვის გადადებულ ანარიცხების გამოკლებით, გადააქვს საზოგადოებრივ ხასიათის თანხაში.

რუსეთში ომის წინადროინდელი კანონმდებლობა, რომელიც მხედველობაში იღებდა სათადარიგო თანხის მნიშვნელობას და თან ანტისოციალისტურ მიზნებს ისახავდა, შესაძლებელ მინიმუმამდე საზღვრავდა ამ თანხის რაოდენობას კოოპერაციისთვის. იმ დროის ნორმალური წესდება სათადარიგო თანხას მხოლოდ ერთს განსაკუთრებულს მნიშვნელობას აკუთვნებს, სახელდობრ იმას, რომ ამ თანხამ უნდა დაფაროს ოპერაციებისაგან მოსალოდნელი ზარალი. ამ თანხის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საპაიო თანხის რაოდენობას. ამ რიგად, წესდების ნამდვილი აზრით სათადარიგო თანხა არ უნდა გადაიქცეს იმ საშუალებად, რომლის განვითარებაც ეკონომიურ ცხოვრების ამა თუ იმ დარგების განსაზოგადოებრივობას გამოიწვევს. წესდებით მოთხოვნით მისი საზოგადოებრივი ხასიათი ისპობა და არარად ხდება. ასეთია მიზანი თვითმპყრობელ მთავრობისა, რომელიც ცდილობს კოოპერაცია ისეთს ჩარჩოებში ჩასვას, რომ სოციალისტ-კოოპერატორებს საშუალება არ მიეცეთ გამოიყენონ იგი სოციალისტურ მიზნებისათვის.

უფრო მეტიც: ვინაიდან სათადარიგო თანხას ასეთი მნიშვნელობა აქვს, წესდება ავალებს წევრთ, რომ ეს თანხა საკრედიტო დაწესებულებებში შეინახონ და დახარჯონ მხოლოდ საზოგადო კრების დადგენილებით. ამ გზით საკუთარ თანხათა უდიდესი ნაწილი გამოყოფილი უნდა ყოფილიყო კოოპერატივის საბრუნავ საშუალებათაგან.

მენშევიკურმა მთავრობამ, რომელიც გართული იყო განსაკუთრებით ბოლშევიკებთან ბრძოლაში, მთლად გადმოიტანა საქართველოს ნიადაგზე მეფის მთავრობის კანონები, მათ შორის კანონი კოოპერაციის შესახებ (ასეთი კანონი საერთოდ თუ არსებობდა რუსეთში), მხოლოდ მცირეოდენის ცვლილებებით, რომელიც შეიტანა დროებით მთავრობის მიერ გამოცემულმა კანონებმა.

კოოპერატიული ცხოვრება, რასაკვირველია, ვერ თავსდებოდა კანონით შექმნილ ფარგლებში და მოგების განაწილების დროს ხშირი იყო არსებულ კანონების დარღვევა; სამწუხაროდ ჩვენ ცნობები არა გვაქვს როგორც სარაიონო კავშირების, ისე პირველ საფეხურის კოოპერატივთა სათადარიგო თანხების რაოდენობის შესახებ. არის ცნობები მხოლოდ საკუთარ საშუალებათა შესახებ, რომელშიაც საპაიო გადასახადის გარდა ყველა თანხა შედის: სათადარიგო, ძირითადი, სხვადასხვა საგანგებო თანხა და სხვა...

წელი	ჩვენებათა რიცხვი.	საწევრო გად. ძირითადი სათადარიგო და სხვა.	საშუალოდ 1 კოოპერატივზე ოქროს მანეთით.	ბალანსის ჯამი ოქროს მან.	პროც. დამოკიდებულება ბალანსთან.
1919	335	129 629	386,95	2 300 280	5.64%
1920	434	16.485	37,98	251.604	6.55 „
1921	163	2.977	18,26	48.240	6.17 „
1922	51	18	0,35	41.79	0,43 „
1923	36	201	5,58	43.36	4,64 „

1919 წელს პირველ საფეხურის კოოპერატივების საშუალებანი ბალანსის 5,64 პროც. უდრის, ხოლო 1921 წლის იანვრის 1-ს ე. ი. გადა-

1922 წლის ბოლოსათვის საპროცენტო დამოკიდებულება 0,43-დან 4,64 პროცენტამდე გაიზარდა. ეს უდავოდ მოწმობს იმას, რომ პარ-

საც შედეგად მოჰყვა არჩევნებში, კომუნისტების არჩევა მეტად დიდი გავლენა იქონია საკუთარ საშუალებათა გაძლიერებაზე. ასეთი დასკვნა ერთნაირად შეეხება როგორც საპაიო, ისე სხვა თანხების გადიდებას.

საერთოდ საკუთარი თანხები პირველ საფეხურის კოოპერატივებში, მხედველობაში რომ მივიღოთ საპაიო თანხის დამოკიდებულებაც ბალანსის ჯამისადმი, შეადგენდა: 1919 წელს—24,94, 1922 წლის იანვრის 1-ს—6,03 და 1922 წლის ბოლოს—13,21.

ყველა ამის შემდეგ ჩვენ გვეუბნებიან, რომ კომუნისტურმა პარტიამ კოოპერატიულ ცხოვრებაში ჩარევით კოოპერაცია დაღუპა, პირიქით—ციფრები ადასტურებენ ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ კოოპერაცია დაიღუპებოდა, ეს [illegible]ლა და ეს ჩარევა რომ არ [illegible]ლიყო.

სასტატისტიკო ცნობები სა[illegible]ნო კავშირების საკუთ[illegible] თანხ[illegible]სახებ ამასვე გვეუბნება.

რაიონები	1920 წ. იანვ. 1-სთვის				1921 წ. იანვ. 1-სთვის				1922 წ. იანვრის 1-სთვის				1923 წ. იანვრის 1-სთვის			
	კოოპერატ. რიცხვი	ყველა საკუთარი თანხა			კოოპერატ. რიცხვი	ყველა საკუთარი თანხა			კოოპერატ. რიცხვი	ყველა საკუთარი თანხა			კოოპერატ. რიცხვი	ყველა საკუთარი თანხა		
		ბონებით	ოქროს მან.	1 კოოპ.		ბონებით	ოქროს მან.	1 კოოპ.		ბონებით	ოქროს მან.	1 კოოპ.		ბონებით	ოქროს მან.	1
აღმოსავლეთ საქართველოში																
გომის	32	1,033,102	7,379	230,59	29	8,050,215	4,025	138,79	33	406,912,152	2,543	77,70	ცნობები არ არის			
გორის	42	232,940	1,663	39,59	46	1,200,339	600	13,04	32	253,853,608	1,586,5	49,58				
დუშეთის	17	46,508	332	19,52	30	146,037	73	2,43	—	—	—	—				
კახეთის	29	92,940	664	22,89	26	77,835	38	1,47	33	20,147,871	126	3,82				
სიღნაღის	47	124,920	892	18,98	39	1,037,610	518,5	13,28	37	13,629,762	85	2,38				
ტფილისის	27	93,860	670	24,81	34	761.495	386	11,35	24	9,572,753	60	2,50				
სულ	194	1,624,270	11,600	356,38	204	11.273,531	5,640,5	180,36	159	704,116,146	4,400,5	135,98				
დასავლეთ საქართველოში																
აბაშის	30	67,330	481	16,03	33	380,616	190	5,75	32	2,104,435	13	0,40				
ზესტაფონის	52	23,068	166	3,19	40	323,339	161,5	4,04	54	7,838,263	49	0,91				
ზუგდიდის	69	577,954	4,128	59,82	90	1,613,678	806,5	8,96	54	27,064,020	171	3,17	41	371,110,413	63	
ქუთაისის	105	—	—	—	—	403,398	201,5	—	93	9,579,920	60	0,66	114	398,702,939	927,	
ლანჩხუთის	40	18,646	133	3,32	40	107,142	53,5	1,34	39	12,589,875	80	2,05	41	266,951,456	62	
ნატანების	19	—	—	—	19	—	—	—	19	—	—	—	—	—		
ოზურგეთის	42	57,769	413	9,83	42	175,424	87,5	2,08	42	7,822,949	49	1,12	41	100,732,887		
საჯავახოს	9	35,069	250	27,77	17	16,302	8	0,47	17	7,365,496	46,5	1,17	17	121,201,060		
სამტრედიის	46	87,664	626	13,60	94	620,433	310	6,74	20	940,282	6	0,30	—	—		
სენაკის	33	36,913	263	7,97	43	1,510,833	755	17,56	52	3,566,093	22,5	0,43	37	42,011,253		
შიათურის	35	91,069	650	18,57	35	802,496	401	11,45	27	12,836,467	81	3,—	25	321,607,377		
ჩოხატაურის	35	101,305	724	20,68	34	569,173	285,5	8,37	33	6,947,411	44	1,33	21	130,236,277		
სულ	515	1,096,605	7,834	180,78	487	6,522,734	3,259	66,76	482	98,655,211	622	14,54	337	1,652,553,662		

აღებულია ოქროს კურსი იანვრის 1-თვის.

შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ყველა ექვსი სარაიონო კავშირის საკუთარი საშუალებანი საპაიო თანხით აღმოსავლეთ საქართველოში შეადგენს 11.600 მან. ესე იგი საშუალოდ 2.000 მან. ოქროთი თითო კავშირზე. ეს ჯამი თავისთავად მეტად ცოტაა იმ მასშტაბით მუშაობის საწარმოებლად, როგორც განზრახული [illegible] დაარსების დროს.

დასავლეთ საქართ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოეთის ცხოვრება

ინგლისის საიმპერიო კონფერენცია

ბრიტანეთის იმპერიის მთლიანობა. მისი ეკონომიური დაბრკოლებები. ცენტრალური ევროპის კრიზისის გამოძახილი.

საიმპერიო კონფერენციამ დაიწყო მუშაობა ოქტომბრის დასაწყისში ლონდონში.

იდეამ, რომ ინგლისს მსოფლიოს სხვა ნაწილებში შეუძლია აინაზღაუროს ის, რაც მან დაჰკარგა ევროპაში, ხელი შეუწყო კონსერვატიულ პროპაგანდას უკანასკნელი სპარლამენტო არჩევნების დროს და მთავრობის ხელმძღვანელობა ბ. ბონარ-ლოუს ხელში გადავიდა. ბონარ-ლოუს დაპირებები განახორციელა ბალდვინმა: კანადის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, სამხრეთ-აფრიკის, ნიუ-ფაუნდლენდის, ინდოეთის და აგრეთვე ირლანდიის დელეგატები შეიკრიბენ მსოფლიო კრიზისიდან თავის დასაღწევად ზომების გამოსანახავად.

რომ მსოფლიო კაპიტალიზმის გაჯანსაღება შესაძლებელი ყოფილიყო, ის უნდა დაწყებულიყო ინგლისიდან. ინგლისის ეკონომიური აღორძინება და გაჯანსაღება სრულიად შესცვლიდა საერთაშორისო პერსპექტივებს. აი რატომ სჭარბობენ ლონდონის კონფერენციაზე ფინანსიური და ეკონომიური საკითხები.

არ შეიძლება ითქვას, რომ თათბირებზე, რომლებიც ხდებოდა საიმპერიო კონფერენციამდი, სუფევდა ოპტიმისტური სულიერი განწყობილება. ბ. ბალდვინმა კონფერენციის პირველ სხდომაზე განაცხადა: „თანამედროვე ევროპა, განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ ჩვენს იმედებს ოთხი წლის წინათ, არ გვაძლევს სანუგეშო სურათს" და დაუმატა, რომ სამხედრო შეიარაღების ხარჯები 19 4 წლის შემდეგ გაიზარდაო.

სამხრეთ-აფრიკის წარმომადგენელმა გენერალმა სმუტსმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ ინგლისისათვის მძიმე ტვირთს წარმოადგენს ამერიკისათვის ვალის გადახდა. „თუ საერთაშორისო ვაჭრობა და ტრანსპორტი არ იქნა აღდგენილი,—სთქვა სმუტსმა,—ყველასათვის აშკარა შეიქმნება, რომ ინგლისმა შეუძლებელის შესრულება იკისრა"-ო.

ინგლის-ამერიკის ფინანსიურ შეთანხმებას დღემდი აფასებდენ, როგორც ამ ორი ანგლო-საქსური სახელმწიფოს დაახლოებას. ახლა კი, უკვე აშკარა ხდება, რომ ვალის გადახდის ნიადაგზე, ინგლის-ამერიკას შორის უთანხმოება იწყება. რომ ინგლისის ბურჟუაზიამ გაიხსნას ხელფეხი, მან უნდა დაიბრუნოს თავისი დამოუკიდებლობა, მან უარი უნდა სთქვას ამერიკისათვის ვალის გადახდაზე. მაგრამ რა მოჰყვება ამას?

„ტაიმსი" აღნიშნავს, რომ კონფერენცია, როგორც სჩანს დიდ ყურადღებას მიაქცევს სინგაპურში საზღვაო ბაზის საკითხს.

როგორც სჩანს ავსტრალიის და ახალი ზელანდიის პრემიერებმა უკვე მისცეს თავისი თანხმობა სინგაპურში სამხედრო ნავთსადგურის მოწყობაზე. სინგაპურის საკითხის ასე გადაჭრა სრულიად აუქმებს ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილებებს. ინგლისის ბურჟუაზია ემზადება დიდი შეიარაღებული კონფლიქტისათვის აღმოსავლეთ-აზიაში და წყნარ ოკეანეზე. ინგლისს იქ ორი მტერი ჰყავს: იაპონია და შეერთებული შტატები.

სკეპტიკურად განწყობილი წრეები არაფერს დადებითს არ მოელიან საიმპერიო კონფერენციისაგან.

„დეილი ჰერალდ" (ორი ოქტომბრის ნომერში) სწერს: „უაზრობა იქნება ვიფიქროთ თითქოს კონფერენცია მოაგვარებს უმუშევრობის საკითხს, რომელიც გამოწვეულია კაპიტალისტური მეურნეობის საერთო დაცემით. ჩვენთვის, რასაკვირველია, სასურველია, რომ კალონიებში რაც შეიძლება მეტი გასაღდეს ჩვენი მრეწველობის პროდუქტები. მაგრამ უსაფუძვლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქვეყნები, რომელთაც აქვთ საკუთარი მრეწველობა, შესძლებენ ცენტრალური ევროპის ბაზრის დაკარგვის ანაზღაურებას თუნდაც იმ შემთხვევაში, რომ დახურონ თავისი კარები ჩვენი კონკურენციებისათვის".

თანამედროვე ეკონომიური კრიზისის გასაღები თვით ევროპაშია. ევროპის დიდი ნაწილის გაღატაკებამ გამოიწვია ინგლისის კრიზისი და კალონიები ვერასდროს ვერ აუნაზღაურებენ ინგლისის ფაბრიკანტებს იმ დანაკლისს, რომელიც გამოიწვია მათ მიერ ცენტრალური ევროპის ბაზრების დაკარგვამ.

„მიმოხილვა" და „ეკონომისტ" მიესალმენ საიმპერიო კონფერენციას მეტად სკეპტიკური წერილით: „ბრიტანეთის იმპერია,—სწერენ ისინი,—ვერ შექმნის დამოუკიდებელ ეკონომიურ ერთეულს. ნედლი მასალის და ფაბრიკატების დიდი ნაწილი ჩვენ უნდა გავასაღოთ ევროპის ბაზარზე. რა ბედი ეწვეოდა მაგალითად ინინგლისის ექსპორტს სამხრეთ-ამერიკაში, რომ ინგლისმა მოახერხოს კანადის მრეწველობისათვის ხელის შესაწყობათ, სამხრეთ-ამერიკიდან (არგენტინიდან) სიმინდისა და ხორცის ექსპორტის ხელოვნურად შეზღუდვა? რომ ინგლისმა, მაგალითად მოახერხოს თავისი ბაზრიდან სკანდინავიის ხე-ტყის განდევნა და მის მაგივრად შემოზიდოს ხე-ტყე კანადიდან, უფრო ძნელი გახდებოდა ინგლისის საქონლის ექსპორტი საფრანგეთში და სკანდინავიაში. ეს გავლენას მოახდენდა ჩვენს ნაოსნობაზეც, რადგან ნახშირი შეადგენს სამ მეოთხედს იმ ტვირთისას, რომელიც გააქვთ ინგლისის ნავთსადგურებიდან, იმ დროს, როცა ნახშირის ექსპორტი ახალშენებში უმნიშვნელოა. ბავშვობას წარმოადგენს ფიქრი თითქო პროტექციონური საბაჟო ტარიფის შემოღება ან ევროპის გარშემო ერთიანი საბაჟო კედლის ამართვა გამოიყვანს ინგლისს თანამედროვე ეკონომიური კრიზისიდან. ბეგერი ჩემბერლენის ამ ზომებმა უკვე დაჰკარგეს ყოველგვარი მნიშვნელობა. საჭიროა მთელი ქვეყნის მსყიდველობითი უნარის აღდგენა. თუ ბრიტანეთის იმპერია ნაკლებ საქონელს შეიძენს საზღვარგარეთ, ეს შეამცირებს ამ ქვეყნების მსყიდველობითი უნარს, რაც თავისი მხრივ ზიანს მიაყენებს დიდ ბრიტანეთს."

ბრიტანეთის იმპერიისაგან დამოუკიდებელი ერთეულის შექმნის ცდების უმიზნობა აშკარა ხდება კანადისა და შეერთებული შტატების ურთიერთობიდან. კანადის საბჭოს პრეზიდენტმა მეკენზი კინგმა „ტაიმსში" განაცხადა, რომ 1914 წ. ამერიკის კაპიტალი კანადაში უდრიდა 750 მილიონ დოლლარს, ამ ჟამად კი უდრის ორ ნახევარ მილიარდ დოლლარს, ინგლისის კაპიტალის რაოდენობა კი იგივე დარჩა, რაც 1914 წ. იყო, დაახლოვებით 2.700 მილიონ დოლლარამდე. მეკენზი კინგმა გაუსვა რა ხაზი კანადის ეკონომიურ კეთილდღეობას, აღნიშნა, რომ ინგლისის კაპიტალი უფრო მეტ ინტერესს უნდა იჩენდეს კანადისადმი. კინგის დასკვნები აშკარაა: თუ დღევანდელი მდგომარეობა გაგრძელდა, კანადა ჩქარა გადაიქცევა ამერიკის კალონიათ.

ბატონმა ბალდვინმა და ლორდმა კერზონმა საჭიროდ დაინახეს გაეკეთებიათ კალონიების წარმომადგენლებისათვის მოხსენება ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მათი მჭერმეტყველება ყველამ იცის. მაგრამ კანადისა და სამხრეთ-აფრიკის წარმომადგენლები არ დაკმაყოფილდენ მარტო მოხსენების მოსმენით და მოითხოვეს, რომ კალონიები ერთ მშვენიერ დღეს არ ჩაითრიონ ინგლისის რაიმე ახალ საგარეო კრიზისში. როცა ლოიდ-ჯორჯმა დარდანელის საკითხის გამო ინგლისი კინაღამ ომში ჩააბა, ამან დიდი აღელვება გამოიწვია კალონიებში.

კონფერენციის დახურულ სხდომებზე ამაზე ბევრი ილაპარაკეს. რასაკვირველია, ავსტრალია და ახალი ზელანდია საჭიროდ თვლიან ინგლისის ფლოტის დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ მათ თავს დაესხა იაპონია. მაგრამ საერთოდ კალონიები უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხდებიან როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად. მსოფლიო ომის დროს ინგლისმა გვიჩვენა თავი, როგორც მთლიანმა სახელმწიფომ, მაგრამ მდგომარეობა შემდეგ დიდათ შეიცვალა.

რა მოუვა ამ „მთლიან სახელმწიფოს" მომავალი ინგლის-ამერიკის კონფლიქტის დროს!

„ინპრეკორ".

ლებრივ უარესი მდგომარეობაა. 12 კავშირის საკუთარი თანხა უდრის 7.831 მან. ოქროთი, ანუ საშუალოდ თითო კავშირზე 652 მან. 66 კაპ.

მიუხედავად ამისა, ცოტა რამ მუშაობა მაინც შესრულებულ იქნა შემსყიდველ აპარატის მოწყობისა და ცენტრთან საქმიან კავშირის დაჭერის საქმეში და სხვა... მაგრამ რაც დრო მიდიოდა, საქმე უფრო ფუჭდებოდა. საშუალებანი ბონებით დიდდება, ნამდვილად კლებულობს. მაგალითად, 1920 წლის იანვრის 1-სათვის აღმოსავლეთ საქართველოში საშუალებათა ჯამი გამოიხატება ციფრით 1.624.271, ხოლო 1922 წლის იანვრის 1-სათვის ადის 704.116.146 მანეთამდე, ხოლო დასავლეთ საქართველოში 1.096.605-დან 98.655.211 მანეთამდე. ნამდვილად ცვლილება მოხდა იმ მხრივ, რომ შემცირდა, ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოში 1922 წელს თითო კავშირზე საშუალოდ გვქონდა 2.000 მანეთის ნაცვლად 739,83 მან. ხოლო დასავლეთ საქართველოში 619 მანეთის ნაცვლად მხოლოდ 52 მან. სამაგიეროდ 1923 წლისთვის მდგომარეობა გაუმჯობესებას იწყებს, ვინაიდან 52 მან. 320 მანეთამდე ადის, ანუ დიდდება 515,38 პროცენტით.

დასკვნა ერთი და იგივეა. 1923 წლისთვის კოოპერაცია გაიწმინდა იმ ელემენტებისაგან, რომელნიც იქ მიდიოდნენ იმიტომ კი არა, რომ ეს მოძრაობა გამოეყენებინათ უკეთეს მომავლისათვის ბრძოლის საშუალებად, არამედ იმ მიზნით, რომ იგი გადაექციათ მშრომელთა წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად, რასაც შედეგად მოჰყვა კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებათა გაძლიერება.

ერთის შეხედვით ყველა ეს გასაოცრად გვეჩვენება. დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ კოოპერატორებისთვის ყველაფერი ეს წარმოადგენს ყოვლად შეუწყნარებელ მოვლენას კოოპერატიულ ოჯახში.

მათი აზრით კოოპერაცია უნდა იყოს ისეთი თავისუფალი ორგანიზაცია, სადაც შეეძლებათ შესვლა როგორც მედუქნეებს, ისე მღვდლებს, რომელნიც ნელ-ნელ გამოსწოვენ სახალხო დოვლათს. მათის აზრით, რაც უფრო მეტს მდიდრებს მიიზიდავს კოოპერატივი, იმდენად მეტი ნივთიერ საშუალების პატრონი იქნება. აქედან გამომდინარეობს პრინციპი ხმის უფლების მიცემისა ყველა იმათთვის, რომელნიც საზოგადოებაში ჩაწერას მოისურვებენ.

პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი და მათი გზა ერთი და იგივე არ არის იმდენად, რამდენადაც ამ ხალხს არ აინტერესებს ის საბოლოო იდეალი, რომელსაც უნდა ესწრაფებოდეს კოოპერაცია.

იმათ მშვენივრად იციან, რომ ეს მოძრაობა ბოლოს და ბოლოს მიმართულია მოსახლეობის არამშრომელ ნაწილის წინააღმდეგ, ესე იგი მათივე წინააღმდეგ და ამიტომაც აცხადებენ წევრად ჩაწერის სურვილს იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ საშუალებით ხელი შეუშალონ კოოპერაციის განვითარებას.

სულ სხვაგვარად სდგას საკითხი მშრომელ წრეებისთვის. იმათ მთელ თავის არსებით აინტერესებს როგორც საბრუნავ თანხათა გაძლიერება, ისე კოოპერაციის გამოყენება ეკონომიურად გაბატონებულ კლასის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად:

სწორედ ეკონომიური აუცილებლობა იზიდავს მათ იმ ორგანიზაციისაკენ, რომელიც საშუალებას მისცემს მათ, ერთის მხრივ, იაფად მიიღონ ქალაქის მრეწველობის ნაწარმოებნი და, მეორეს მხრივ, ხელსაყრელ პირობებში გაასაღონ თავისი წარმოების პროდუქტები. ისინი მზად არიან ხელი შეუწყონ კოოპერაციას, ოღონდ კი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სრულ ბატონ-პატრონებად იქნებიან ღარიბები და არა ცალკე მდიდარი პიროვნებანი, როგორც ეს იყო 1922 წლის ბოლომდე.

არც ერთს მდიდარს არ აინტერესებს კოოპერატივის საბრუნავ თანხათა გაძლიერება და ამიტომ მათთან საერთო არაფერი გვაქვს. ამას ამბობს ციფრები, ამას ადასტურებს სინამდვილე!

ა. ერქომაიშვილი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

კომუნისტები 2/3 შეადგენენ.

სორმოვო. 1 ნოემ. სორმოვოში ქარხანა „წითელ სორმოვოს" მუშების მიერ ქალაქის საბჭოში არჩეულ 150 დელეგატებიდან 100 კომუნისტებია.

მცირეწლოვან ბოროტმოქმედთა შესახებ.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. სოციალურ აღზრდის მთავარ სამმართველომ წინადადება მისცა მცირეწლოვან ბოროტმოქმედთა საქმეების კომისიებს არ გადაგზავნონ მცირეწლოვანი ბოროტმოქმედნი ყარაულით საეტაპო წესით, რადგან ეს ეწინააღმდეგება პედაგოგიურ ზეგავლენის პრინციპებს.

მემკვიდრეების შესახებ.

მოსკოვი. 1 ნოემ. მოსკოვის საბჭომ მემკვიდრეებისა და ანდერძის ამსრულებელთათვის დააწესა ჯარიმა 300 ოქროს მანეთი იმ შემთხვევისათვის, როდესაც არ იქნება შეტანილი განცხადება სამემკვიდრო ქონების შემადგენლობის შესახებ; ჯარიმა შეიძლება შეცვლილ იქნეს იძულებითი მუშაობის დაწესებით სამითვის ვადით.

მეტად გაჭირვებული მაზრები.

მოსკოვი. 1 ნოემ. სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომთან არსებულმა სოფლის მეურნეობის აღდგენის კომიტეტმა მეტად გაჭირვებულათ იცნო სარატოვის გუბერნიის შემდეგი მაზრები: დერგაჩევის, ნოვოუზენის, ხვალინის, ვოლსკის და კამიშინის.

ორთქლმავალების და ვაგონების დამზადება.

ორიოლი. 31 ოქტომბერი. რუსეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის წევრმა რკინისგზელებმა დაასრულეს 3 ორთქლმავალისა და 7 ვაგონის შეკეთება.

უკრაინა

24 ბანდიტის გასამართლება.

კიევი. 31 ოქტ. ბერდიჩევში გაასამართლეს 24 ბანდიტი, რომელთაც ბრალდებოდათ თავდასხმა და მკვლელობანი ოლქის ფარგლებში. 5-ს მიუსაჯეს დახვრეტა, 10-ს—ორ-ორი წლით დატუსაღება სასტიკი იზოლიაციით და ქონების ჩამორთმევით, 9 გაამართლეს.

ამუშავებულია შაქრის ქარხანა.

პოლტავა. 1 ნოემ. ამუშავებულია ლანოვის შაქრის ქარხანა, რომელიც 5 წელიწადი უმოქმედოთ იდგა.

სარდაფებიდან—კარგ ბინებში.

კიევი. 1 ნოემ. საგუბერნიო აღმასკომის დადგენილების თანახმად, შესდგა სპეციალური კომისია, რომელმაც საჩქაროთ უნდა მოაგვაროს მუშების გადასახლება სარდაფებიდან კარგად მოწყობილ ბინებში. კომუნალურ სახლებში გადასახლება უკვე დაიწყო.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო. 31 ოქტომბერი. 27-29 ოქტომბერს გაზიდულია ნავთის ნაწარმოები: ბაქოდან ასტრახანში 2.397,591 ფ. შავი ნავთი, 195,411 ფ. ნავთი. ბაქოდან კრასნოვოდსკში 266,333 ფ. შავი ნავთი, რაკუშიდან ასტრახანში 69,000 ფ. შავი ნავთი.

გადაწყვეტა მიწის შესახებ ატეხილ დავისა.

ბაქო. 31 ოქტომბერი. ბაქოს საბჭოს პრეზიდიუმმა გადაიწყვიტა მიწის შესახებ ატეხილი დავა სოფელ ალთი ალაჩისა, ალდარისა და ტუდარის სოფლის საზოგადოების შორის. ქირახულის აკრეფის შემდეგ, სადაო მიწა გადაეცემა სოფ. ალთი-ალაჩს. თუ ეს დადგენილება არ შესრულდეს, სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

ელექტროფიკაცია.

შამხორი. 31 ოქტომბერი. შამხორის მაზრის ქალაქ ანინოში ელექტრონის განათება გაიყვანეს. ნათდება ქუჩები და კერძო ბინები.

ძველი ნაშთების დაცვა.

ბაქო. 31 ოქტომბერი. აზერბეიჯანის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს წარმოებულ საამშენებლო მუშაობის დროს ბევრი უძველესი ნაშთები ნადგურდება და წინადადება მისცა ყველას, ვინც კი ასეთ სამუშაოს აწარმოებს აზერბეიჯანის საარქეოლოგიო საზოგადოების დაუკითხავად, არც ერთი ძველი შენობა არ დაანგრიონ არქეოლოგიურ საზოგადოების დაუკითხავად და არქეოლოგიურ ნაშთების აღმოჩენის დროს (წარწერები, ფული, ჭურჭელი და სხ.) აცნობონ ხოლმე ხსენებულ საზოგადოებას.

შრომის დაცვა.

ბაქო. 31 ოქტომბერი. ლითონის წარმოების კერძო მრეწველთა გაერთიანებულ კომიტეტის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო, კვირაში ერთხელ მაინც დაჰხედოს კერძო მრეწველთა სახელოსნოებს, მუშათა შრომის დასაცავად.

კოოპერაცია.

ბაქო. 31 ოქტომბერი. ბაქოში არსებულ 42 კოოპერატივიდან, მხოლოდ 5 შეუერთდა ბაქოს კავშირს. ბაქოს კავშირის წევრთა რიცხვი ყოველ თვიურად იზრდება და ამ ჟამად 20,000 აღწევს.

ჰაეროდრომის აგება.

შამხორი. 31 ოქტომბერი. ანინოში გამართულ შაბათობის დროს, რომელშიაც 300 კაცმა მიიღო მონაწილეობა, გაასუფთავეს და შეამზადეს მოედანი ჰაეროდრომის ასაგებად.

საარჩევნო კამპანია.

ბაქო. 30 ოქტ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა შინამრეწველთა და ხელოსნების წინაშე, რათა ბაქოს საბჭოში გაადიდონ შინამრეწველთა დეპუტატების რიცხვი და დაადგინა, რომ შინამრეწველებს, რომლებიც კი დაქირავებული შრომით არ სარგებლობენ, 4 დეპუტატის ადგილი დაეთმოთ ბაქოს მომავალ საბჭოში.

სომხეთი

ოქტომბრისწინ.

ერევანი. 31 ოქტომბერი. სომხეთის მსროლელთა დივიზიის პოლიტგანყოფილება შეუდგა ოქტომბრის დღესასწაულებისათვის სამზადისს სომხეთის წითელ ჯარში. დღესასწაულების განმავლობაში წითელ-არმიელებს განუმარტავენ საბჭოთა მთავრობის 6 წლის წარმატებას და დაუსურათებენ წითელი არმიის მიერ განვლილ გზას ამ ხნის განმავლობაში.

გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ.

ერევანი. 31 ოქტომბერი. ცენტრალურმა სასტატისტიკო სამმართველომ საერთო სხდომაზე თავის წევრთა ჯამაგირის 2 პროც. გადასდო გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ.

ერევნის კონსერვატორია.

ერევანი. 31 ოქტომბერი. ერევნის კონსერვატორიაში შესასვლელად შარშან 838 მსურველმა შეიტანა განცხადება. ამჟამად პროფკავშირთა წარმომადგენლების თანადასწრებით მოწაფეთა გამოცდა სწარმოებს. მეცადინეობა 10 დღის შემდეგ დაიწყება.

საარჩევნო კამპანია.

ერევანი. 30 ოქტ. გუმბრიდან იუწყებიან, რომ საარჩევნო კამპანია მაზრაში წარმატებით მიდის.

პარტიული ცხოვრება

ყველა პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებს

ამა წლის დასაწყისში მოსკოვის მე-9-ე საგუბერნიო პარტკონფერენციამ წამოაყენა ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის დაარსების იდეია რ. კ. პ. ცეკამ საჭიროთ სცნო მხარი დაეჭირა ამ წინადადებისათვის და დაამტკიცებია ის. ამ ინსტიტუტის ამოცანას წარმოადგენს მსოფლიო რევოლუციის ბელადის ამხ. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველმხრივი შესწავლა, რაც შეიცავს ამავე დროს რ. კ. პ. რტიის მთელს ისტორიას. ინსტიტუტი აგროვებს ყველა მასალებს, რომელიც დაკავშირებულია ვლ. ილიჩის სახელთან.

პარტიის მორიგი ყრილობისათვის ინსტიტუტში წარმოდგენილი იქნებიან ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები.

სცნობს რა აუცილებელ საჭიროებათ გაუწიოს ყოველმხრივი დახმარება ამ ინსტიტუტს, საქართველოს კომპარტიის ცეკა წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებს ყველა მასალები, როგორიც არის მაგალითად: წერილები, შენიშვნები, ლენინის ნაწარმოებთა ადგილობრივი გამოცემანი, პლაკატები, ბიუსტები და ადგილობრივათ დახატული სურათები, გაზეთების ნომრები ლენინისადმი მიძღვნილ წერილებით, პროლეტარულ პოეტების და ბელეტრისტების მიერ ლენინისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები და საერთოდ ყველაფერი ის, რასაც ასე თუ ისე კავშირი აქვს ვლადიმერ ილიჩის სახელთან,—წარუდგინონ საქართველოს კომპარტიის ცეკას მიერ სპეციალურათ გამოყოფილ კორესპონდენტს ინსტიტუტისა ამხ. ორაგველიძეს, ასეთების ლენინის ინსტიტუტში გადასაგზავნათ.

საქართველოს კომპარტიის ცეკა სთხოვს აგრეთვე ყველა იმ ამხანაგებს, რომელთაც უმუშავნიათ ამხ. ვლ. ილიჩთან ერთად რუსეთში ან ემიგრაციაში, ან შემთხვევა ჰქონიათ მასთან შეხვედრისა მუშაობაში, ან კერძო ცხოვრებაში, წარუდგინონ სათანადო მასალები ზემოთ აღნიშნულ ამხანაგს.

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი: ვ. ლომინაძე.

საქართველოს კომკავშირის არსებობის 6 წლის თავზე

ს. ა. კ. კ. ცეკა უშვებს კრებულს: კომკავშირის ისტორია. კრებულში მოცემული იქნება საქ. ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორია დღიდან „სპარტაკი"-ს ორგანიზაციის დაარსების დღემდე.

სთვლის რა დროულად ამ ამოცანას საქ. ახ. კ კ. ცეკა წინადადებას აძლევს ყველა ამხანაგებს, რომელთაც აქვთ რაიმე მასალა, რომელიც ეხება ახალგაზრდათა კომკავშირის მოძრაობას, დაუყოვნებლივ გამოგზავნონ ის ცეკას სარედ. საგამ. განყოფილებაში.

კრებულში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან ყველა ჰერქვეშ აქტიურათ მომუშავეები „სპარტაკისა", კომკავშირისა და პარტიისა.

მოგვაწოდეთ წერილები, მოგონებანი, ფოტოგრაფიები, სურათები, პროკლამაციები, ბროშიურები და სხ.

ცეკას მდივანი **დევდარიანი.**
სარედ.-საგამ.-განყ. გამგე **ახილოვი.**

მისალმება საქართველოს კომპარტიის ცეკას.

ფოთის მეოთხე ლეგალური პარტკონფერენცია მხურვალედ ესალმება საქართველოს პროლეტარიატის და გლეხობის ხელმძღვანელ საქართველოს კომპარტიის ცეკას.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

ქ. ფოთი

27 ოქტომბერს გაიხსნა ს. კ. პ. ფოთის ორგანიზაციის მეოთხე ლეგალური კონფერენცია, რომელზედაც გამოცხადდა 35 დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

კონფერენცია გახსნა ადგილობრივ თეატრის შენობაში პარტკომის პასუხისმგებელმა მდივანმა, რომელმაც განაცხადა, რომ კონფერენციისათვის იმ მომენტში, რომელშიდაც ჩვენ ვცხოვრობთ, არ არის საჭირო საზეიმო ნაწილი და წინადადება შემოიტანა პირდაპირ საქმიანი მუშაობა დაეწყოთ. კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულ იქნა ერთხმად ამხ. მ. კახიანი, გოგია, მეგრელიშვილი, მეუნარგია და ლომთათიძე.

საპატიო თავმჯდომარეებად: ამხ. ლენინი, ტროცკი, სტალინი, მახარაძე და ცხაკაია.

მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა ამხ. ლენინს, ს. კ. პ. ცეკას, რ. კ. პ. ც. კ. და გერმანიის პროლეტარიატს.

სამდივნოში აირჩიეს ამხ. ფრუიძე, ქავთარაძე და ანდღულაძე, რომელსაც დაავალეს სამანდატო კომისიის ფუნქციების შესრულება.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) ფოთის კომიტეტის ანგარიში, 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) ახალგაზრდა კომკავშირის ანგარიში და 5) არჩევნები.

საერთაშორისო მდგომარეობაზე გააკეთა მოხსენება ამხ. კახიანმა, რომელმაც დაახასიათა საბჭოთა რესპუბლიკების შინაური და საგარეო მდგომარეობა და ვრცლად შეჩერდა გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლაზე. ყველას უნდა ახსოვდესო—განაცხადა მან—რომ გერმანიის რევოლუციას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა საერთაშორისო რევოლუციისათვის და ამიტომ ჩვენი ვალდებულებაა დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს, რითაც კი შეგვიძლია. შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ მიღებულ იქნა ერთხმად რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ კონფერენცია ფიცსა სდებს გაუწიოს აქტიური დახმარება გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატს.

ფოთის კომიტეტის ანგარიში წარუდგინა კრებას კომიტეტის მდივანმა, რომელმაც ვრცლად დაახასიათა მისი მუშაობა. უმთავრესი ყურადღება კომიტეტს მიუქცევია ორგანიზაციულ და სააგიტ. საპროპაგანდო მუშაობისათვის. ყველა კამპანიები ტარდება დამაკმაყოფილებლად. მაგალითად პრესის დღემ მოგვცა შვიდასამდე ახალი ხელის მომწერნი გაზეთებზე. საჰაერო ფლოტის კამპანია, რომელმაც მოგვცა მაშინ ხუთ-მილიარდზე მეტი, გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე კვირეულმა, რომელმაც ორმოცი მილიარდამდე მოგვცა და სხვა.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც კომიტეტის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

ახალგაზრდა კომკავშირის ანგარიში გააკეთა ამხ. ჯიბლაძემ, რომელმაც მოკლედ აღნიშნა მისი მუშაობა. პარტიის კომიტეტთან დამოკიდებულება მჭიდრო არისო და ის სათანადო ხელმძღვანელობას გვიწევსო—განაცხადა მან. მათი მუშაობა იქნა მიჩნეული ფრიად დამაკმაყოფილებლად. დაბოლოს მოხდა არჩევნები კომიტეტის. აირჩიეს შემდეგი ამხანაგები: გოგია, ლომთათიძე, მეგრელიშვილი, ჯალაღანია, მეუნარგია, მიმინოშვილი, ხუხია, მეიშვილი, ბახუშვილი. კანდიდატებათ: ფრუიძე, კეკელიძე და ქავთარაძე.

სარევიზიო კომისიაში: მიხა თურქია, სპრინკველი და კალანდაძე ლ. კანდიდატათ ამხ. თარგამაძე.

პ. მეგრელიშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.
(1 ნოემბერი).

ჩერვონცები	95,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	89,000
ჩეკები	84,500
დოლარები ეფექტ.	20,500
ჩეკები	19.000
ოსმ. ქაღ. ლირა	10.300
იტალიური ლირა	600
ფრანგული ფრანკი	900
საბჭ. ფულის ნიშნები	13,5

მოსკოვის ფასები.
(1 ნოემბერი.)

პური 1 ხარ.—400 ათ., პური 2 ხარ.—325, ძროხის ხორცი—1100 მ. ცხვრის ხორცი—1400 ათ., შაქარი რაფინადი 4.460 ათ., ფხვნილი შაქარი 3260 ათ., მაკარონი—1490 ათ., კარტოფილი—120 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(1 ნოემბერი.)

პური 1 ხარ. გირ. 600—700 ათასი, პური 2 ხარ.—400, ძროხის ხორცი—1300, ცხვრის ხორცი—1600, შაქარი რაფინადი 4.500 ფხვნილი შაქარი—3300—3500 მ., ბრინჯი აღდაშის 900, მაკარონი 1600, კარტოფილი—150

ბაზრის მიწოდება

ხორბალი 70 ვაგონი, ქერი 60 ვაგონი. ლაგოდეხის თამბაქო (დაუჭრელი) 1 და 2 ხარ. სალებავი გაზეთის. ბრინჯი აღდაშის. ფხვნილი შაქარი რუს. შაბიამანი. კანიფოლი. სპილენძი. ჩაი. აბრეშუმი. რუსეთის მანუფაქტურა. იტალიური მანუფაქტურა. სკიპიდარი ფრანგ. ქიმიური ნაწარმოები. კაუსტიური სოდა. ფანჯრის მინა. ასანთი რუს. საპონი, ცემენტი და ეტერნიტი. მზესუმზირის ზეთი. რკინეულობა. ელექტრო-ტეხნიკური მასალა. სალომასი. ნახიჩევანის ქვამარილი. ყუბანის ფქვილი 1 ხარ

ბაზრის მოთხოვნილება

სალებავი გაზეთისა. ტყავის ღვედები. რკინის გასაყრელები ორ-ტავრიანი სალომასი. მზესუმზირის ზეთი. საკანდიტერო ყუბანის ფქვილი. ფხვნილი შაქარი. შაქარი რაფინადი რუს. ტეხნიკური ცხიმი. ჩაი. ასანთი რუს.

ოფიციალური გარიგებანი

მანუფაქტურა რუს. პრეისკურანტის ფასებით. გაზეთის სალებავი 30 მან. ფუთში, ფრანკო—გამყიდველის საწყობი. ხლორის ცინკი—6 მან. ჩერვ. ფუთში, ფრანკო—ცისტერნი სად. კონსტანტინოვკა.

ბირჟის გარეშე გარიგებანი

30 ოქტომბერს ბირჟის გარეშე დადებულია 17 გარიგება. სულ 35445 მან. ჩერვ. თანხისა.

საქონლის ბაზრის განწყობილება

ტფილისის საქონლის ბაზრებს დღეს შესამჩნევი ცვლილება არ ეტყობა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება

დღეს ჩერვონცების კურსმა კვლავ აიწია (95 მილ.), დანარჩენი ვალიუტა უცვლელია.

ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატში

სავაჭ. ამხანაგობის „ტორგ-რიბა"-ს დაარსების შესახებ

ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა: ამ. კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის გამგეობის და საზოგად. „აზრიბა"-ს მონაწილეობით დაარსდეს სავაჭრო ამხანაგობა, სახელწოდებით „ტორგ-რიბა". ამ ამხანაგობის მიზანია თევზის, ხიზილალის, თევზის წებოსა და სხვა თევზის ნაწარმოებთა გაყიდვა, შენახვა, საზღვარ-გარეთ ექსპორტი და რეალიზაცია. აღნიშნულ მიზნის განხორციელებისათვის მიეცეს ა. კ. სავაჭრო გამგეობას წინადადება სათანადო ხელშეკრულება დასდოს „აზრიბა"-სთან შემდეგ პირობებით: ამხანაგობის საბრუნავი თანხა განისაზღვრება 20.000 ჩერვ. მანეთით, აქედან 70 პროც. შეაქვს „აზრიბა"-ს და 30-პროც. ა. კ. სავაჭრო გამგეობას. „აზრიბა"-ს უფლება ეძლევა თავისი წილი შეიტანოს თავის ნაწარმოების პროდუქციით, ხოლო ამ პროდუქციის ფასები უნდა იყოს დაკლებული 30-პროცენტით საბითუმო ფასებთან შედარებით. ა. კ. სავაჭრო გამგეობას შეაქვს თავისი ნაწილი ნაღდი ფულით, მაგრამ უფლება აქვს შეიტანოს ნაწილ-ნაწილად. საზღვარ-გარეთ გასატან საქონლის რაოდენობის მიხედვით. საბრუნავ თანხის შედგენის შემდეგ „აზრიბა"-ს ნაწარმოების რეალიზაცია ხდება ან ყიდვა-გაყიდვის, ან საკომისიო წესრიგით, უკანასკნელ შემთხვევაში ის საქონელი, რომელიც „ტორგ-რიბა"-ს ექნება, უნდა დაფასდეს 30 პროც. ნაკლებ. ამხანაგობის საქმეების გამგეობა ევალება ორივე მხარეს შეთანხმებით დანიშნულ რწმუნებულს, რომელიც იმყოფება ქ. ბაქოში და მოქმედობს თანახმად ინსტრუქციებისა, რომელიც ურთიერთ შეთანხმებით შემუშავებული უნდა იქნეს. საქონლის რეალიზაცია უნდა სწარმოებდეს ა. კავკ. სავაჭრო გამგეობის საგარეო აპარატის შემწეობით „აზრიბა"-ს წარმომადგენლის კონტროლის ქვეშ.

ოპერაციების გაერთიანება

ა. კ. საგ. ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიამ განიზრახა მოწვეულ იქნენ ნოემბერში (ტფილისში) საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების დაინტერესებულ უწყებების წარმომადგენლები მედიკამენტების სავაჭრო ოპერაციების გაერთიანების საკითხის შესახებ როგორც რესპუბლიკების ფარგლებში, ისე საზღვარ-გარეთ.

ტფილისის და მისი მაზრის შრომის, სკოლების და ბავშვთა სახლების ხელმძღვანელთა კონფერენცია

28 ოქტომბრის სხდომები

მოხსენება ტფილისის და მისი მაზრის განათლების განყოფილების მუშაობის შესახებ (ამხ. ქაცარავასი)

სკოლის რეფორმა.

გან. განყოფ. მთავარი ყურადღება მიქცეული იყო ახალი სკოლის შექმნისაკენ—ახალ ცხოვრებასთან შეფარდებით გადაწყდა ახალი შრომის სკოლების გახსნა შემდეგი სახით: 4 წლიანი, 7 წლიანი და 9 წლიანი კურსით. ამ წელთა ანგარიშში არ შედის საბავშვო ბაღები, სადაც ბავშვები ანბანს სწავლობენ. წელს ქალაქში გახსნილია 20—ცხრაწლედი სკოლა, 35—7 წლიანი და 24—4 წლიანი. ტფილისის მაზრაში კი არის 1 ცხრაწლიანი, 8—შვიდწლიანი 94—ოთხწლიანი სკოლა. ეს სკოლები საკმარისი არ არის. მარტო ტფილისში 1 ოქტომბრამდე დაგროვდა 6,819 თხოვნა სკოლაში მისაღებათ. ამათგან განათ. განყოფილებამ მხოლოდ 3087-ს დაკმაყოფილება შესძლო, დანარჩენი სკოლის გარედ დარჩნენ. განათ-განყოფილება ღებულობს ყოველ ზომებს ამათ დასაკმაყოფილებლათ. ახალი შტატები წელს განათ. კომისარიატს არ მიუცია. განათ. განყოფილებამ მაინც შესძლო 27 ახალი ჯგუფის გახსნა და აგრეთვე ყველა სკოლასთან საბავშვო ბაღების მოწყობა. რაც შეეხება საბავშვო სახლებსა და სასკოლო ჰასაკამდე საბავშვო ბაღებს, მათი ცვლილება წელს არ მომხდარა.

სასკოლო ბინის საკითხი.

ბინის საკითხი ყველაზე უფრო მწვავეა. არც ქალაქში და არც მაზრაში საკმაო ბინა არ მოგვეპოვება და რაც არის, მოითხოვს ძირითად რემონტს.

მიმდინარე წელს ქალაქში 80 სკოლის შენობა იქნა შეკეთებული, მაზრაში შეკეთებაში მცხოვრებლებიც ღებულობდენ მონაწილეობას და იქაც ბევრი შეკეთდა.

საგანმანათლებლო მუშაობა სოფლად.

მაზრას განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა უნდა. არის ისეთი სოფლები, სადაც წერა-კითხვის მცოდნე სანთლით საძებარია.

საერთოდ მაზრაში სწავლის უკეთ დაყენებისათვის შემოღებული იქნა ასეთი წესი: მაზრა გაყოფილი იქნა 11 რაიონად და თვითეულ რაიონს დაენიშნა სარაიონო გამგე-ხელმძღვანელი.

მაზრისათვის მომზადებულია და აგრეთვე წიგნები ბიბლიოთეკებისათვის. გამოფენის მასალებიც უნდა გადაეგზავნოს მაზრას. იქაც მოვაწყვეთ სარაიონო კონფერენციები, სადაც ინსტრუქტორები გააკეთებენ სათანადო მოხსენებებს.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასა და საერთოდ დიდების განათლებაზე ზრუნავს პოლიტგანათლების განყოფილება. წელს განზრახულია საქმის უფრო ფართედ დაყენება როგორც მაზრაში, აგრეთვე ქალაქშიც. მრავალი სკოლა უკვე გაიხსნა და განზრახულია კიდევ ბევრი გაიხსნეს. მაზრაში ეს საქმე მასწავლებლებს ევალება. სკოლამ უნდა შემოკრიბოს როგორც მოზარდნი, აგრეთვე გაზრდილნიც. რა თქმა უნდა ამისათვის მასწავლებლები შრომის ფასს მიიღებენ.

მასწავლებელთა გადამზადება.

საერთოდ სწავლა-განათლების ახალ დონეზე დასაყენებლად მოწყობილი იყო საზაფხულო კურსები მასწავლებელთათვის. ეს კონფერენციაც ამავე მიზანს ემსახურება. განზრახულია აგრეთვე პედაგოგიური ჟურნალის გამოცემა.

მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, 1 სასკოლო ჰასაკზე გადაშორებულ ბავშვების შესახებ.

ვინაიდან მოხსენება ინფორმაციული ხასიათისა იყო, კამათი არ იხსნება. მსურველთ დაევალათ თავისი მოსაზრებანი წარადგინონ პრეზიდიუმში, რომ ისინი მიიღოს მხედველობაში განათლების განყოფილებამ.

მასწავლებელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადამზადება.
(ამხ. შავერდოვას მოხსენება).

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. შავერდოვა მასწავლებელთა საზოგადოებრივ პოლიტიკურ გადამზადების შესახებ.

მოხსენების აზრი შემდეგია: მასწავლებელი უნდა იყოს პოლიტიკურად მომზადებული, ხალხში პოლიტიკურად მომუშავე და არა ვიწრო სპეცი-პედაგოგი, ამიტომ საჭიროა მათი პოლიტიკურად გადამზადება. მართალია ეს ხდება სტიქიურად, თავის თავად, პედაგოგიურ ხასიათის კურსებზე, კონფერენციებზე და სხვა, მაგრამ ეს არ კმარა.

აქ უნდა შეტანილ იქნას ერთგვარი სისტემა, რომლის გატარებას უნდა უხელმძღვანელოს განათლების მუშაკთა პროფ-კავშირმა განათ. განყოფილებამ, განათლების კომისარიატმა.

ამასთანავე მომხსენებელმა წამოაყენა პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებანი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელნი გადამზადდებიან პოლიტიკურად;

1. მუშაობა განათლების მუშაკთა სახლში თანამედროვე პოლიტიკისა და ეკონომიკის ნიადაგზე.
2. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადამზადების ბიუროს დაარსება.
3. ჟურნალის გამოცემა ამავე მიზნით.
4. მოძრავი და ფუნდამენტალური ბიბლიოთეკების მოწყობა.
5. სკოლებისათვის გაზეთების გამოწერა.
6. კულტ-მუშაობა ბიუროსთან კონტაქტით.
7. პოლიტიკურად გადასამზადებელ კონფერენციის მოწვევა და სხვა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მოხსენების შემდეგ შემოდის სხვა და სხვა ხასიათის მოსაზრებანი, რომელთა შორის ერთი აღნიშნავს, რომ განათლების მუშაკთა სახლი მოითხოვს გაფართოებას შენობის მხრივ, თორემ ყველა წრეებს, რომელიც იქ არსებობს, შენობა არ ჰყოფნით.

მოხსენების შემდეგ კრება ირჩევს სარეზოლიუციო კომისიას, რომელსაც ევალება ყველა მოხსენებათა შესახებ რეზოლიუციის შედგენა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე წარსადგენად.

კომისიაში შედიან: ამხ. ვართაპეტოვა, პროცენკო და ჯავახიშვილი. კრება თავდება საღამოს 8 საათზე.

ქრონიკა

— **სახალხო კომისართა თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნა.** საქართველოს ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, ამხ. ქოიკაშვილი დანიშნულია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მეორე მოადგილედ.

— **ომში დასახიჩრებულთა კრება.** შაბათს, 3 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე ომის ინვალიდთა მე-3-მე თავშესაფარში (პლეხანოვის პრ. № 139) გაიმართება ოჯახური გასართობი საღამო. დასწრება შეუძლიათ ომში ყველა დასახიჩრებულთ უფასოდ.

— **სანიტარული განათლების სახლის გახსნა.** 6 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე მოხდება სანიტარულ განათლების სახლის საზეიმო გახსნა (ივანგულ. ქ. № 12), შემდეგი დღის წესრიგით: 1) სანგანსახბჭოს საზეიმო სხდომა, 2) საჩვენებელი სპექტაკლი, 3) კონცერტი.

— **ოქტომბრის დღესასწაულისათვის.** ოქტომბრის დღესასწაულს დღეს ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი თავის შეფობის ქვეშ მყოფ სოფ. ასურეთში გამართავს კონცერტ-მიტინგს და სხ. გასართობებს გლეხებისათვის.

— **საქონლის ჭირი.** მიწად-მოქმედების კომისარიატის ცნობით, საქართველოში საქონლის ჭირის შემთხვევები მოისპო. ტფილისში არსებული უკანასკნელი კარანტინი 12 ოქტომბერს მოხსნილი იქნა.

— **გამოცდები.** 28 ოქტ. დაიწყო ქართულ დივიზიის ყველა ნაწილებში წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო გამოცდები. გამოცდების ნაყოფიერად ჩატარებისათვის პროვინციებში დაიგზავნა ინსტრუქციები.

— **აჭარის შემსწავლელი საზოგადოება.** ბათომში ახლო ხანში არსდება აჭარის სოციალურ-ეკონომიურით და ისტორიულით შემსწავლელი საზოგადოება.

— **ოქტომბრის დღესასწაულისათვის.** წითელარმიელთა ცენტრალურ კლუბში ოქტომბრის დღესასწაულის აღსანიშნავად მოწყობილი იქნება გრანდიოზული საღამოები.

— **სახალხო მეურნეობის და ეკონომიის ბიურო.** მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატთან დაარსდა სასოფლო-მეურნეობის და ეკონომიის ბიურო, რომელშიაც შედიან სპეციალისტები. ბიურო უკვე შეუდგა მუშაობას.

— **ექსპონატების დაბრუნება გამოფენიდან.** 10 ოქტომბერს რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოწყობილი საქართველოს პავილიონი დაიხურა და შეუდგენ ექსპონატების უკან დაბრუნებას.

— **აგრო-დახმარების მუშაკთა ყრილობა.** 15 ნოემბერს მოწვეულია აგრო-დახმარების დარგში მომუშავეთა ყრილობა, რომელიც შესდგება მიწად-მოქ. კომ. შენობაში და გაგრძელდება 7 დღეს.

— **თვითმშრომელთა კავშირის რეორგანიზაცია.** ქალ. აღმასკომმა თვითმშრომელთა კავშირის სარეორგანიზაციო კომისიაში თავის წარმომადგენლებათ დანიშნა ამხ. მიხა ჩოდრიშვილი და ვარძელი.

— **სახალხო-სამეურნეო გადასახადის შემცირება.** ქალ. აღმასკომის

მუშათა ცხოვრება

სამწუხარო გაუგებრობა

პასუხად მუშ. ნიკო მკერვალს.

(იხ. „კომუნისტი“ № 248).

სატყეო ტრესტს „საქართველოს ტყე-“ს არ აქვს ქალაქის განაპირა ადგილებზე არავითარი „ზასტავა“ და არც საამისოდ დაქირავებული აგენტები ჰყავს. არ ჰქონია ასეთი მაშინაც კი, როცა ის „სატყეო კომიტეტის“ სახელწოდებას ატარებდა. ეს შედიოდა და შედის ესლაც მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების კომპეტენციაში.

გაზეთ „კომუნისტი“-ს მე-248 ნომერში მოთავსებული კორესპონდენცია „ყოვლად დაუშვებელი მოვლენა“-ს (სატყეო კომიტეტის საყურადღებოდ) სათაურით, უნდა იყოს მიმართული მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებისადმი. მომავალში რომ გაუგებრობას ადგილი არ დაურჩეს სატყეო ტრესტი აცხადებს კორესპონდენტების საყურადღებოდ, რომ სატყეო კომიტეტი გადაკეთებულია ტრესტად „საქართველოს ტყე“-ს სახელწოდებით. რაც შეეხება მიწად-მოქმედების სახ. კომის. მას აქვს სატყეო განყოფილება, და არა სატყეო კომიტეტი.

საქართველოს სატყეო ტრესტის დირექტორი ვ. ძნელაძე.

სწავლა-განათლება მუშებში

ყველაზედ ძლიერი და გავლენიანი იარაღი კულტურული ბრძოლისათვის არის სწავლა-განათლების დაყენება მაღალ დონეზე...

ჩვენში საბჭოთა ხელისუფლებამ ამ მხრივ ძალიან ბევრი გააკეთა. გახსნა ტეხნიკუმები, სადაც შეიტანა გადახალისება და მოსწავლის თეორიული ცოდნა ცხოვრების რეალობის—პრაქტიკის წინ დააყენა... ფაბრიკა-ქარხნებში მოეწყო წერა-კითხვის უცოდინართა სრული ლიკვიდაცია, გამრავლდენ მუშათა უბნებში სამკითხველოები, არსებობს ბევრგან ლიტერატურული, პოლიტიკური და დრამატიული და მუსიკალური წრეებიც. რომელი ბრმაც ვერ შეამჩნევს ამ რადიკალურ ცვლილებას სწავლა-განათლების და მუშების გათვითცნობიერების დარგში. ამას ვერ ამჩნევენ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მტრები.

ძველი რეჟიმის დროს მუშისთვის სანატრელი იყო წიგნი და მითი გატაცება, ამას ის მხოლოდ სარდაფებში ახერხებდა... დღეს, მუშა გამოსულია სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე.

მუშა, გაზეთების უახლოესი, ძვირფასი თანამშრომელია, მის დაწერილს და შეთხზულს, რომელიც მათი ცხოვრების რეალური სურათია (წერილები მუშათა ცხოვრებიდან), ანგარიშს უწევენ უმაღლესი ორგანოები. ერთი სიტყვით მუშა შეიქმნა „ცოცხალ და კულტურულ ძალად—ამ სიტყვის სწორი გაგებით. მაგრამ დიდი საქმის კეთების დროს დეფექტები ყოველთვის არის, როგორც მაგ. წიგნების და სხვა სასწავლო ნივთების უქონლობა; მასწავლებელთა კადრის მოუმზადებლობა და სხვა. მაგრამ იმედია რომ ეს დეფექტები ახლო მომავალში გამოსწორდება.

მუშკორი მხილებელი.

მუშებისათვის მიუღებელია

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

ამას წინედ დასახლევთა შემწეობის სამკურნალო ქვე განყოფილებიდან ლითონის განყოფილების ამბულატორიას მოუვიდა მოწერილობა 18 ოქტომბ. № 3165, საიდანაც ამბულატორიას ეცნობებოდა, რომ საექიმო დახმარება მუშა მოსამსახურეთ მიეცემათ საერთო წესით, რაიონულ ექიმების საშუალებით.

ასეთი მოწერილობა, ჩვენის აზრით, მიუღებელია იმიტომ, რომ თუ მუშა, ან მისი ოჯახის წევრი, გახდა ავად უნდა, მაშასადამე, მოსცდეს იგი თავის მუშაობას ქარხანაში, უნდა წავიდეს სამკურნალო ქვეგანყოფილებაში (ცენტრში) „ტალონი“-ს მისაღებად, რათა გამოიწვიოს ექიმი სახლში, რისთვისაც მუშას აქ უხდება ერთი დღის დაკარგვა. ასეთ პირობებში ძნელია მუშისათვის საექიმო დახმარების მიღება; იგი რაიონულ ექიმის მოლოდინში ამჯობინებს კერძო ექიმის მოწვევას. ამას გარდა 2 ნახევარ წლის განმავლობაში მელითონე მუშები ისე შეეჩვივნენ თავიანთი ამბულატორიის ექიმებს, რომ მათ სხვა რაიონული ექიმი არც კი წარმოუდგენიათ, რადგანაც ჩვენი ამბულატორიის ექიმებისაგან სახლში საექიმო დახმარებას დროზე ვღებულობთ. ჩვენი მელითონე მუშები მოითხოვენ, რომ რაიონული საექიმო დახმარების ამორჩენა მიენდოთ ისევ ძველებურად ექიმ ვარაბიოვს და ცვეტკოვას. ტალონები კი გადაეცეს, ან ამბულატორიას, ან კოლეგიას. (როგორც არის ტყავეულობის განყოფილებაში და ტრამვაელებთან). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჯანსახკომისარიატი მიიღებს მხედველობაში მელითონე მუშების ხმას, გაუწევს რა ანგარიშს ზემოაღნიშნულ გარემოებას და საექიმო დახმარების ამორჩენას დასტოვებს ძველ წესზე, ეს უფრო მიზანშეწონილი და პრაქტიკულიც იქნება. მელითონეები განსაკუთრებულ ფიზიკურ შრომას ეწევიან და მათთვის საექიმო დახმარების წესიც უნდა გაადვილებულ იქნეს, თორემ „კანცელიარშჩინა“ მხოლოდ ქაღალდების მიმოწერას გაავრცელებს და დახმარების საქმეს ავნებს.

მუშკორი მეღითონე

როგორ უნდა მოხდეს შტატების შემცირება ა. კ. რკინის გზის სამმართველოში

პირველ რიგში მუშაობის ზედმეტი პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად გზის მმართველობის ეხლანდელი განყოფილებები უნდა შეერთებულ იქნას სამმართველოს სათანადო განყოფილებებთან, როგორც, მაგალითად,—მმართველობის განყოფილებანი: საანგარიშო-საფინანსო უნდა შეუერთდეს სამმართველოს სათანადო განყოფილებას; ტეხნიკური განყოფილება, რომელიც სრულებით არაფერს არ აკეთებს, უნდა შეუერთდეს წევის სამსახურის სათანადო განყოფილებას და სამმართველოში საკონსულტაციოდ 2 ან 3 ინჟინერის დატოვებით. მმართველობის საერთო ნაწილი უნდა შეუერთდეს საადმინისტრაციო სამსახურს. საჭიროა, აგრეთვე სამსახურებში ომამდე არ არსებული განყოფილებების გაუქმება, როგორც, მაგალითად,—„წევის“ სამსახურში—წყლის მიწოდების განყოფილება, „ჩაცივების“ განყოფილება („ხოლოდილნი“) და სამსახურებში არსებული მიმწოდებელი განყოფილებანი, რომელნიც არც ერთ სამსახურში არ ყოფილან ომამდე და რომელთა მაგიერ მაშინ კმაყოფილდებოდენ მხოლოდ ერთი მატერიალური მაგიდით და ერთი მოანგარიშით და არა მთელი შტატით და „სპეც-განაკვეთიანი“ უფროსით სათავეში.

გარდა ამისა საჭიროა მიექცეს ყურადღება „სპეცების“ ნამეტნავად გამრავლებას. სამმართველოს ყოველ ოთახში თქვენ ნახავთ თითო და ზოგში კი ორ-სამ, ან ოთხ „სპეცს“, რომელნიც, ალახმა უწყის, რას აკეთებენ. მაგრამ „სპეც-განაკვეთს“, ან და „შეთავსებისათვის 50 პროცენტს ჯილდოს და ხშირად ორ მილიარდამდე თვეში კი ღებულობენ. ასეთი „სპეცებიც“ საჭიროა იქნენ მიღებული მხედველობაში შემცირების დროს. ეჭვს გარეშეა, ისეთი „სპეცები“-ს შრომა, რომელნიც საქმეზე ამტკიცებენ თავის „სპეცობა“-ს, ჩვენ უნდა ვაჯილდოვებდეთ შესაფერისად მაგრამ, რაც შეეხება იმ სპეცებს, რომელნიც მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ ნურას უკაცრავად, ჩვენ სახალხო შრომის კაპეიკებს ვერ მოვსცემთ და ჩვენგან აშკარა დანაშაულობა იქნება ამნაირად სახალხო ქონების ფლანგვა.

საჭიროა აგრეთვე კანცელიარიის საქმის წარმოების და განსაკუთრებით საანგარიშო ნაწილის გამარტივება და „კანცელიარშჩინი“-დან თავის დაღწევა.

ამნაირად, მხოლოდ ასეთი ღონისძიებათა ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარება შეამცირებს ზედმეტ ხარჯებს და გზის დეფიციტს და გაადიდებს ტრანსპორტელების რეალურ შრომის ხელფასს.

აი ის საკითხები, რომელიც სდგას ჩვენი პარტიული და პროფესიონალური ორგანოების წინაშე და რომელნიც არ ითმენენ გადადებას. ეს არის ნამდვილი მორიგი და დამკვრელი ამოცანა.

მუშკორი გასილიევი.

საჭიროა გამოსწორდეს მდგომარეობა

(რკინისგზის ადმინისტრაციის საყურადღებოდ).

დროა რკინის გზის ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს მუშა-მოსამსახურეების შრომის პირობების გაუმჯობესებას. ჩვენ, მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც ვეკუთვნით სავაგონო დეპოს პარკს დიდ გაჭირვებას განვიცდით განსაკუთრებით კი ჩვენ, ე. ი. დამსუფთავებელნი, რომელნიც ვიღებთ შრომის ხელფასს მეორე ხარისხით. უდავოა, რომ ამ ჯამაგირით ცხოვრება ყოვლად შეუძლებელია. ნუ თუ შეიძლება ასეთი მცირე ჯამაგირით ვარჩინოთ საკუთარი თავი, ანუ ჩვენი ოჯახის წევრები.

ფიქრობს თუ არა ადმინისტრაცია ამის შესახებ რამეს? ცხადია, ამ ჯამაგირით მხოლოდ შეიძლება 10 დღით არსებობა, დანარჩენ დღეებში კი სიმშილს განვიცდით. აი სწორედ აქედან ადვილი ასახსნელია ის არა სასურველი მოვლენები, რაც ხდება მოგზაურობის დროს, როგორც მაგ. ვაჭრობა, ქურდობა და სხვა ის რაც პატიოსან მუშას სრულებით არ შეჰფერის. სწორედ საარსებო სახსრის ძიებაში ჩვენ გვავიწყდება ჩვენი პირადი მოვალეობის პირნათლად შესრულება. ამიტომაც ხშირად ხდება ვაგონების სხვა და სხვა ნივთების დაკარგვა და თვით ჩვენ შორის ქურდობაც, ამის მაგალითები ადმინისტრაციას ბევრი მოეძებნება. ცხადია, 20 დღის განმავლობაში ნახევრად მშიერად ყოფნა აშკარად, თუ ფარულად ხელს უწყობს ამ საძაგელ მოვლენებს. ხშირად იკარგება ვაგონებში ხავერდის პირები, „ჩეხოლები“, ტილოები და სხვა, და ეს ხდება არამც თუ მარტო მგზავრობის დროს, არამედ იმ დროსაც, როდესაც ვაგონები პარკში ისვენებენ და დარაჯებიც სდარაჯობენ. ასეთი მოვლენები კი ჩვენში ხშირია. ამის მოსასპობად საჭიროა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მუშკორი უმ—ვი.

პასუხი ამხ. დავითაიას.

მისი წერილის გამო.

(იხ. „კომუნისტი“ № 239)

თქვენი წერილის გამო იქნა კავშირის გამგეობის მიერ შედგენილი სპეციალური კომისია იმ ბრალდებების გამოსარკვევათ, რომელიც თქვენ წამოაყენეთ. ამ კომისიაში შედიოდენ გამგეობის წევრები ამხ. ლ. კანკავა, ი. კვიჟინაძე და დ. ვაშაკიძე. თქვენ ბრალს სდებდით ქუთ. გამასწ. სახლის საავადმყოფოს თანამშრომლებს ხურციძეს და ლაღიძის ქალს „უკავშიროდ ახალგაზრდა კომკავშირის წევრს შტატ გარედ დატოვების წინასწარ გადაწყვეტაში“ — აგრეთვე „რაოდენიმე თანამშრომლის უსამართლოდ დათხოვნაში“. ხურციძეს თანამშრომელთადმი „უდიერად მოქცევაში“ და თითქოს თანამშრომლებს ის „ამუშავებდეს თავის კერძო საქმეებზე“ და სხვა.

გამოძიება-დაკითხვამ და საქმის ვითარებამ გამოარკვია, რომ თქვენი ბრალდება არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან მოქ ლაღიძეს დათხოვნაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. შტატები შეამცირა ადგილობრივმა კომიტეტმა სრული შემადგენლობით და უფრ ექიმის თანადასწრებით. მხედველობაში იყო მიღებული სტაჟი სამსახურისა, ოჯახური მდგომარეობა და უნარიანობა. ამიტომ ხუთი კაცი რომლებიც დარჩენ შტატს გარედ იმ საბუთების მიხედვით, რომელიც აღმოაჩინა ხსენებულმა კომისიამ, არიან სამართლიანად დატოვებული შტატს გარედ, მათ შორის ის ახალგაზრდა კომ.-კავშირის წევრიც, რადგანაც ის სამსახურზე დროებით ალაგზედ ირიცხებოდა. ეს უკანასკნელი მსახურობდა მხოლოდ 1 თვეზე ცოტა მეტს საავადმყოფოში. რაც შეეხება იმას, რომ მოსამსახურეებს თითქოს უდიერად ეპყრობოდეს და თავისი პირად საქმეებს აკეთებდეს ა. ხურციძე, ესეც არ შეესაბამება სინამდვილეს თანახმად კომისიის მიერ დაკითხვის დროს ყველა თანამშრომელთა ჩვენებისა— და ფაქტიც ადასტურებს ამას, რომ ამხ. ა. ხურციძე თითქმის ოთხჯერ იქნა გადარჩეული ადგილობრივ კომიტეტში, სასურველი იქნებოდა, რომ დავითაია უფრო დეტალურათ და დასაბუთებულად წამოაყენებდეს ხურციძეზე ბრალდებებს, თუ მას ასეთები აქვს. ფრიად სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ის ახალგაზრდა კომკავშირის წევრი, რომელზედაც ამდენს სწერს ავტორი, იყო თვითონ დავითაია და რატომ იქ სამსახურის დროს მან არ მოისურვა, თუ რამე იცოდა, იქაურობის შესახებ ეცნობებია კავშირისთვის?.

საექიმო სასანიტარო პროფკავშირის ქუთ. სამაზრო განყოფილების პ. მ. მდივანი დ. კომახიძე.

მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა სოფ. წილკანში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესამცირებლად გაიგზავნოს კომისია ამხ. თაქთაქიშვილის, იზნნელის და ჯავახოვის შემადგენლობით.

— **ტფ. საბჭოს ხელახალი არჩევნები.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა ტფ. საბჭოს არჩევნების ჩასატარებლათ საარჩევნო კომისიაში არჩეულ იქნან ამხ. სუხიშვილი, ივანოვ კავკაზსკი, ყურულაშვილი, მესხი და სამხედრო უწყების ერთი წარმომადგენელი.

— **სათემო აღმასკომის გაუქმება.** ქ. აღმასკომმა დაადგინა გაუქმებულ იქნას სათემო აღმასკომში და ნაცვლად დაარსდეს რაიონული აღმასკომები.

— **სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის გაუქმება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო პროექტი სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის გაუქმების შესახებ.

ბინით სარგებლობის წესი. საქ. სახ. კომისართა საბჭომ განსაკუთრებულ დადგენილების გამოცემამდე ბინით სარგებლობის წესის შესახებ სამხედრო პირთათვის დასტოვა ძველი დადგენილება უცვლელად.

— **შრომის ბირჟა.** 31 ოქტ. აღრიცხვაზე გამოცხადდა—480 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—52, გაიგზავნა სამუშაოზე—50.

შემთხვევები.

ტუსაღის გაქცევა. 30 ოქტ. მე-4 სამილიციო უბნის სატუსაღოდან გაიქცა ტუსაღი იოსებ მიკირტუმოვი.

— თავის დაჭრა. 30 ოქტ. ღამის 10 საათზე ანდრეევის ქ. № 37 მოქ. ბარის კულოვმა მატერიალურ გაჭირვების ნიადაგზე რევოლვერით სასიკვდილოთ თავი დაიჭრა.

— ქურდობა. 30 ოქტ. საღამოს 7 საათზე გაქურდეს არუთინა ხეჩიანცის ბინა (სადგურის ქ. № 10) ქურდები აღმოჩნდნენ ვლადიმერ სკლოპსკი და მუხტარ ვასიმ-ოღლი. აღნიშნულნი პირნი შეიპყრეს,

— ქურდის შეპყრობა. 29 ოქტ. შეიპყრეს ალექსანდრე კანდელაკი, რომელსაც ბრალი ედებოდა სხვადასხვა ქურდობაში.

ხელოვნება

გაბრიელიანის კონცერტი.

კონცერტების სეზონი დაიწყო მოქ. ბარერის მიერ გამართულ მთელ რიგ clavierabend-ის შემდეგ; დამოუკიდებელი კონცერტით (violinoabend) გამოვიდა ერევანის კონსერვატორიის მასწავლებელი გაბრიელიანი.

ის ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზრდა მსახიობია, რომელმაც დაამთავრა პროფესორ ავერვინოს სკრიპკის კლასის კურსი, მიუხედავათ თავისი ახალგაზრდობისა, გაბრიელიანი დიდი მუსიკალური ძალაა. მას აქვს მშვენიერი ღრმა მოსიმღერე ტონი, დამთავრებული ტეხნიკა, რწმენა, სიმშვიდე შესრულების დროს და ყველა ამასთან ერთად უეჭველი მუსიკალობა.

მაგრამ, ალბად, ახალგაზრდა მსახიობს ცოტა მოუსმენია ანდა შეიძლება სულ არ მოუსმენია სკრიპკაზე დამკვრელ დიდებულ ხელოვანებისათვის და მთელი მისი ინტერპრეტაცია სუბიექტიურია. ის, ალბათ, ვერ ხედავდა დაკვრის დამთავრებულ სახეებს და მხოლოდ მარტო ინტუიციის საშუალებით მიაღწია მან სკრიპკის ლიტერატურის ამა თუ იმ ნაწარმოების დღევანდელ შესრულებამდი.

აი, რატომ იყო, რომ ტარტინის-სონატები საკმაო სტილიურათ ვერ იყო შესრულებული; ეს იყო მიზეზი აგრეთვე იმისა, რომ მსახიობი აჩქარებული ტემპით ასრულებს პუნიან-კრეისლერის მშვენიერ პრელიუდიებს და allegro ს; ალბათ, ამით აიხსნება ისიც, რომ დიდებული ბახის არიის შესრულება ცოტათი მკრთალი გამოვიდა.

საჭიროა, რომ ახალგაზრდა მსახიობს საშუალება მიეცეს მოუსმინოს სკრიპკის ცნობილ დამკვრელებს და ეჭვი არ არის, რომ გაბრიელიანი თავისი დიდი მუსიკალური ნიჭის წყალობით გვერდში ამოუდგება საერთაშორისო მასშტაბით ცნობილ შემსრულებლებს.

ისეთი მსახიობი, როგორიც არის გაბრიელიანი, არ უნდა იქნეს გამოყენებული პედაგოგიურ მოღვაწეობისათვის, მისი დანიშნულება—ესტრადაა და არა მასწავლებლობა.

გაბრიელიანი — განსაკუთრებული ტალანტია.

მუსიკოსი.

— **სამხატვრო აკადემიაში.** სამხატვრო აკადემიაში დამატებითი გამოცდები დანიშნულია ნოემბრის 5—8 დე. სწავლა დაიწყო ნოემბრის 1-დან.

— **ახალი პიესები.** მთავარ სახელოვნო კომიტეტის სარეპერტუარო კომისიამ მოიწონა და რეპერტუარში შეიტანა შემდეგი ახალი პიესები: „საიდუმლოება“ პიესა 4 მოქ. აკაკი პაპავასი, „წითელი მეზღვაური“ 2 მოქმ. ალ. მამულაიშვილისა და „მარტი“ სანდრო ეულის თარგმანი.

— **მსახიობთა დღისათვის.** სრულიად საქართველოს მსახიობთა კულტსექციამ დაადგინა აღნიშნოს მომავალი ორი იანვარი განსაკუთრებული პროგრამით. რესპუბლიკის ყველა თეატრებში ამ დღეს უნდა დაიდგას განსაკუთრებული წარმოდგენები, რომელთა შემოსავალი გადაეცემა მსახიობთა სექციას. 2 იანვარს გამოვა საგანგებო ჟურნალი სახელწოდებით „2 იანვარი“, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი წერილები სასცენო ხელოვნების დარგიდან და სურათები ჩვენი სცენის მოღვაწეობისა. მსახიობთა კულტსექციის საბჭო სთხოვს კავშირის ყველა წევრთ მოაწოდონ შესაფერი მასალები და ცნობები ადგილობრივ სასცენო მდგომარეობის შესახებ.

პროვინციაში

გამოჩინებულის თემი (ქუთაისის მაზრა)

გამოჩინებულის თემი შესდგება შემდეგი სოფლებიდან: აბაშა, ნიგორძღვა, დაფნარი, ოფეთი, ქვაყუდე, ნოლა და გორმაღალი. წელს ხსენებულ თემში სიმინდის მოსავალი (თემებში) შარშანდელზე ნაკლებია. ამის მიზეზია ზაფხულის გვალვა და აგრეთვე ივნისში მოსული დიდი სეტყვა, რამაც დიდი ზარალი მოუტანა სოფლის მეურნეობას, როგორც ხეხილების განადგურებით, აგრეთვე ჭირნახულის ძლიერ დაზარალებით. ყურძენიც ივნისის სეტყვით თითქმის განადგურდა, სადაც კი გაიარა სეტყვამ; იზაბელას (ოდესის ვენახია) ძლიერ კარგათ ება წელს, რომ კრეფის დროს ძლიერი ქარი არ წამოკვროდა, რომელიც 21 სექტემბრიდან თითქმის 28 სექტემბრამდე ჰქროდა და ხეზე ყურძენი თითქმის გაანახევრა და ძირს ჩამოყარა. აგრეთვე დიდი ზარალი მოუტანა ქარმა სოფლის მცხოვრებ გლეხკაცობას, ვისაც ოთფეხი საქონელი ზამთრისთვის გამოსაკვები ჰყავს, რადგან სიმინდის ჩალას ქარისაგან ფოთოლი ბევრ ადგილას აღარ შერჩენია და მარტო ღეროებიღა დარჩა, რითაც ძლიერ გაძნელდება ზამთრისთვის საქონლის გამოკვება.

ძლიერ გავრცელებულია გამოჩინებულის თემის სოფლებში მეაბრეშუმეობა, რასაც წარსულ სეზონში კარგი მოსავალი ჰქონდა. პარკი ჩაიბარა ადგილობრივმა კოოპერატივმა, რის საფასურათაც კოოპერატივისაგან მეაბრეშუმეებს დაურიგდათ ფართლეულობა, რამაც სულზე მიუსწრო გატიტვლებულ მშრომელ ხალხს, მხოლოდ საჭიროა შემდეგისათვის უფრო იაფი და ხელმისაწვდომი ფართლეულობა იქონიოს კოოპერატივმა, რომ ყველა ღარიბი გლეხობისათვის ხელსაყრელი იყვეს აბრეშუმის საფასურში მისი მიღება, რასაც შეეძლება ცოტათ თუ ბევრათ შემოსოს საშუალო სოფლის ოჯახი დღევანდელ სიძვირის პირობებში.

ჭირნახული ძალიან იაფია, რაც სასოწარკვეთილებაში აყენებს მიწის მუშას. სიმინდი სექტემბრის პირველ რიცხვებში სამტრედიაში ფასობდა 1 ნახევრიდან ორ მილიონამდე ფუთი, მხოლოდ ახალი მოსავლის შემდეგ დიდათ არ აუწევია ფასს, პირიქით, მოსალოდნელია, კიდევაც დაიწოს. ამას შედეგათ ის მოსდევს, რომ სოფლებში გავრცელებულია სიმინდისაგან არყის გამოხდა, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ამ სამწუხარო მოვლენას ნაკლები ყურადღება ექცევა ადგილობრივი ხელისუფლების მხრივ. რადგან სიმინდის ფასი ძლიერ დაცემულია, სოფლის ჩარჩები არაყს უფრო ეტანებიან და ყიდულობენ მას 2 მილ. ბორჯომის ბოთლს. ერთ ფუთ სიმინდში ბორჯომის ბოთლი არაყი გამოდის დაახლოვებით. არაყი გადის ახლო-მახლო რკინის გზის სადგურებში, როგორც, მაგ., სამტრედიაში და იქიდან კი სხვადასხვა „სპეცების“ საშუალებით ქალაქებში—ტფილისში, ბათომში და სხვაგან, გადის კონტრაბანდათ. ამ გარემოებას ესაჭიროება სერიოზული ყურადღების მიქცევა საბჭოთა ხელისუფლების მხრივ. „სამოგონკას“ გავრცელებას ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვება.

საბჭოთა ხელისუფლებას კარგის თვალით უყურებენ და რწმუნდებიან მის აღმშენებლობით უნარში, როგორიც არის, მაგ. გზების გაყვანა-შეკეთება, საჭირბოროტო საკითხების მოწესრიგება. არიან აგრეთვე აქა-იქ უკმაყოფილონი და ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ ღარიბესი გლეხების ხელშია დღეს ძალაუფლება. ვერ წარმოუდგენიათ აგრეთვე მათ ისიც, რომ ცხოვრება შესაძლებელია უკლესიოთ და უმღვდლოთ, ვერ შერიგებიან ამ ნიადაგზე ახალ ცხოვრებას, მაგრამ ამისთანა ელემენტებს სოფელში ეხლა არავითარი გასავალი არ აქვთ. აქვს გარეთვე სოფლად ზოგიერთ ჭორებსაც გასავალი, რაც, რასაკვირველია, იმის ბრალიც არის, რომ ცენტრიდან სოფლებს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ავიღოთ, მაგალითად, დღევანდელი მდგომარეობა გერმანიაში და ის სამოქალაქო ომის დასაწყისი, რომელიც გერმანიაშია. ამ მხრივ სოფლები თითქმის საღათას ძილს მიეცია და ძნელათ, რომ ვინმემ რაიმე იცოდეს გერმანიის ნამდვილ ვითარებაზე. ამის გამო საჭიროა სოფელთან ქალაქმა მჭიდრო კავშირი იქონიოს და ის საქმე, რომელსაც ეწოდება სოფლისა და ქალაქის მუშების შეკავშირება და მასთან ქალაქის მუშების მიერ სოფლის შეფობა, რაც შეიძლება გავრცელდეს ისეთ მიყრუებულ სოფლებში.

რომ სოფლისა და ქალაქის დაახლოვებამ მეტი ნაყოფი გამოიღოს, ამისთვის საჭიროა კომუნისტური პარტიის პასუხისმგებელი ამხანაგები ხშირად მიხედავდენ სოფლებს, რათა მოხსენებებისა და ხშირი კრებების გამართვით მიიზიდონ ჩამორჩენილი სოფლის მშრომელი მასსები და ცნობიერება შეიტანონ მათში. ამ მხრივ კი დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ აგრეთვე სოფლის მასწავლებლებსაც, რომელთაც აქვთ საშუალება და ცოდნაც ხანგამოშვებით მართონ საუბრები და აუხსნან და განუმარტონ გლეხებს მათთვის საჭირო საკითხები.

უ. ჯ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 68

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1. გაუქმებულ იქმნას თიანეთის მაზრა როგორც ცალკე ადმინისტრატიული ერთეული.
2. აღნიშნული თიანეთის მაზრის ორი რაიონი, სახელდობრ: პირიქითა თუშეთი და ზემო-ალაზნის ხეობა შეუერთდეს თელავის მაზრას.
3. წინა და უკანა ფშავეთი, იმიერი და ამიერი ხევსურეთი და საკუთრივ თიანეთი შეერთებულ იქმნან აგრეთვე ტფილისის მაზრასთან.
4. ერწო, ე. ი. საყარაულოს, საყდრიონის, ნაქალაქარის და ბოჟორმას თემები შეერთებულ იქმნან აგრეთვე ტფილისის მაზრასთან.
5. დუშეთის მაზრის საგურამოს აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც ერწოს ეკვრის, შეერთებულ იქმნას აგრეთვე ტფილისის მაზრასთან.
6. შესდგეს სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც დაევალოს: ა) გამოარკვიოს თიანეთის მაზრის დავალიანება, ბ) ჩააბაროს თიანეთის სამაზრო აღმასკომის საქმეები და ქონება დუშეთის მაზრის აღმასკომს და გ) ლიკვიდაცია უყოს თიანეთის სამაზრო აღმასკომის თანამშრომელთ.
7. ამ სალიკვიდაციო კომისიის შედგენა დაევალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. 31 ოქტომბერი.
ტფილისი-სასახლე.

ცირკულიარულად

ს. ს. ს. რ. ტერიტორიაზე მყოფ ყველა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებს.

იმ პირთა დღიურების შესახებ, რომლებიც ხელფასს ღებულობენ სახელმწიფო მაქსიმუმზე ზევით.

თანახმად ა. | ქ. შრომის სახალხო კომისარიატის მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯების კომპენსაციის შესახებ ა | წ. 25 მაისის დადგენილება № 57-სა, სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებების თანამშრომელთა დღიურების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შრომის ხელფასის დაწესებულ საერთო სახელმწიფოებრივ მაქსიმუმის ერთი ოცდა მეოთხედ ნაწილს.

ამავე დროს, როგორც კომისარიატში შემოსულ ცნობებიდან სჩანს, სახელმწიფო ზოგიერთი წარმოება-დაწესებულება არ უწევს ანგარიშს ზემოაღნიშნულს და თავის სპეცებს, რომლებიც ხელფასს ღებულობენ მაქსიმუმზე ზევით, მივლინების გამო აძლევს შრომის ხელფასის მაქსიმუმის არა ერთ ოცდამეოთხედ ნაწილს, არამედ მთელი მისაღები ხელფასის ერთ ოცდამეოთხედ ნაწილს. უკანასკნელი კი ხელს უწყობს სახელმწიფო ქონების განიავებას.

ზემოხსენებულის გამო, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებათ სასტიკად დაიცვან აღნიშნული დადგენილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამის დამრღვევნი იქნებიან მიცემულნი კანონიერ პასუხისგებაში.

ამა ცირკულიარის გატარებისათვის თვალყურის დევნება დაევალოს შრომის ინსპექციათ.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.
საქმეთა მმართველი ლ. ქურდოვანიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 4-ე რაიკომი შაბათს, 3 ნოემბერს დილის 10 საათზე რაიკომის ბინაზე იწვევს რაიკომის ახლად არჩეულ წევრთა და კანდიდატთა პლენუმს. ყველა არჩეულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

მე-4-ე რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი: ხაცკევიჩი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 4-ე რაიკომი** იტყობინება, რომ პარასკევს, 2 ნოემბერს, დილის 10 საათზე, რაიკომის შენობაში (რუსთაველის პრ. № 22) შესდგება უჯრედების მდივნების თათბირი მიმაგრებულ ჯარის ნაწილებთან ერთად; თათბირზე გაირჩევა საკითხი ოქტომბრის დღესასწაულების ჩატარების შესახებ.

რაიკომი წინადადებას აძლევს უჯრედების ყველა მდივნებს, რომ მათ აცნობონ მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მიმაგრებულ ჯარის ნაწილებს იმის შესახებ, რომ აუცილებელია მიმაგრებულ ჯარის ნაწილების წარმომადგენლების დასწრება თათბირზე.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტების კომფრაქციის ბიურო იწვევს შაბათს ა—წ. 3 ნოემბერს. საღამოს 5 ნახ. საათზე, 3 კურსის აუდიტორიაში („კრუჟოკ“-ი)

ფრაქციის საერთო კრებას.

დღის წესრიგში დასმულ საკითხების მნიშვნელობის გამო, კომპარტიისა და ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა იმ წევრებისა და კანდიდატების დასწრება, რომელნიც ითვლებიან სახელმწიფო პოლიტ.-ინსტიტ. საინჟინერო ფაკულტეტების სტუდენტებათ და თანამშრომლებათ,—სავალდებულოა. კრება გაიხსნება დაუგვიანებლივ.

ფრაქციის პასუხისმგებელი მდივანი ვულფოვიჩი.

პროფესიული.

განათლების მუშაკთა სახლში.

— 2 ნოემბერს, საღ. 8 საათზე დანიშნულია რუსულ ენის პროგრამის შემუშავების წრის სხდომა. მოხსენება ვასელოვსკისა.

— 6 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, ბუნების მეტყველების და გეოგრაფიის წრის მეცადინეობა ქართულ ენაზე.

— 10 ნოემბერს, საღ. 6 საათზე, ამხ. გიგო ნათაძე დაიწყებს ლექციების მთელ ციკლს ქართულ ენაზე. თემა: საზოგადოებრივი მეტყველება.

განათლების მუშაკთა სახლის გამგე შიუკაშვილი.

განცხადებები

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის მომწყობი კომიტეტი ამით აცხადებს

შემდეგი მასალების დადგმის შეჯიბრებას

350 ცალი ფარფორის იზოლიატორი სიგრძით 100—110 მილიმეტრი, სიგანით 80—90 მილიმეტრი, კაკვებით ხისათვის. 25 ცალი მრავალ სანთლიან 220 ვოლტის სანათები. ძალა თითო სანათის სინათლისა 300—1000 სანთელი. სანათები უნდა იყოს ნახევარ ვოლტიანი. განცხადება სრული ანუ ნაწილობრივი, აღნიშვნით ფასებისა ჩერვონცებში ფრანკო ტფილისი უნდა შემოტანილ იქნას არა უგვიანეს ა.-წ. 10 ნოემბრის დღის 12 საათისა სამუშაოთა სამმართველოს სამასალო განყოფილებაში (ლადო დუმბაძის ქ, № 3). სამუშაოთა უფროსის თანაშემწე—გ. კიკნაძე·
კრ. 720 2—1

ტფ. ალმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება
ამით აცხადებს, რომ კვირას, ა.-წ. 4 ნოემბერს, დილის 12 საათზე ალმასკომის ბინაზე განყოფილებისაგან

დანიშნულია შეჯიბრებითი წესით

კუკიის აგარაკში მდებარე თავისი ფარეხით საზამთრო საძოვრების სივრცით ას ოთხმოცი დესიატინისა იჯარით გაცემა.

დაწვრილებითი ცნობების მიღება მსურველებს შეუძლიან მიიღონ ყოველ დღე განყოფილების კანცელიარიაში, ალმასკომის შენობა, ოთახი № 31.
717—2—1
განყოფილების გამგე (ჯაფარიძე).

ტფ. ალმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება
ამით აცხადებს, რომ კვირას, ა. წ. 4 ნოემბერს, დილის 12 საათზე ალმასკომის ბინაზე განყოფილებისაგან დანიშნულია შეჯიბრებითი წესით ქალ. ტფილისში მდებარე

ბაღების საჯარო ვაჭრობის იჯარით გაცემა.

1.	ყოფილი მილოვის, დიდი და პატარა	
2.	„ ავეტისოვის — —	ნავთლუღში
3.	„ ჩემოდანოვის — —	
4.	„ ფონდოევის და ყაითმაზოვის	ვერაზე
5.	„ ლვამიჩავას და ბერულავილის	დიდუბეში
6.	„ გაბაევის — —	პლეხანოვის პრ. № 155.
7.	„ რიჩის — — —	„ „ № 115.
8.	„ დადაევის— — —	„ „ № 138.

ამა თუ იმ ბაღის იჯარით ამღები პირი წინასწარ სდებს განყოფილებაში საწინდროს 50.000.000 მან., დანარჩენი დაწვრილებითი ცნობების მიღება მსურველებს შეუძლიან მიიღონ ყოველივე განყოფილების კანცელარიაში (ალმასკომის შენობა, ოთახი № 31).

განყოფილების გამგე: ა ჯაფარიძე.
715—2—1 კანცელიარიის გამგე: (ხელს აწერს).

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის აგების კომიტეტი
ამით აცხადებს თუთიაში ამოვლებულ ფოლადის ბაგირების (კანატი) დადგმის

შეჯიბრებას

შემდეგი ზომებით:

500 სიგრძ. მეტრი ბაგირი დიამეტრით 48 მილიმეტრამდე გაგლეჯის ღონის ძალით არა ნაკლებ 130 ტონისა. 1.240 სიგრძ. მეტრი ბაგირი დიამეტრით 1: მილიმეტრამდე ღონის ძალით არა ნაკლებ 10,5 ტონისა. 860 სიგრძ. მეტრი ბაგირი დიამეტრით 14 მილიმ. 400 სიგრძ. მეტრი ბაგირი დიამეტრი 12 მილიმ.

ჩაბარების ვადა დიამეტრით 12 მილიმეტრის ბაგირისა დაუყოვნებლივ, დანარჩენებისათვის არა უგვიანეს სამი თვისა.

განცხადება სრული ან ნაწილობრივი აღნიშვნით ფასებისა ჩერვონცებში ფრანკო ტფილისი უნდა იქნეს შემოტანილი არა უგვიანეს ა. წ. 10 ნოემბრის დღის 12 საათისა სამუშაოთა სამმართველოს სამასალო განყოფილებაში (ლ. დუმბაძის ქ. № 3).
719—2—1 სამ. უფრ. თანაშემწე გ. კიკნაძე.

განცხადება № 2545.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი

წინადადებას აძლევს ქ. ტფილისის და მისი მაზრის ფარგლებში არსებულ ყოველგვარ კულტის სარწმუნოებრივ საზოგადოებებს ყოველ მიზეზის გარეშე გატარდენ რეგისტრაციაში ტფილისის ალმასკომის საორგანიზაციო საინსტრუქტორო ნაწილში ა. წ. 15 ნოემბრამდის იმ წესის დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების მიერ ა. წ. 22 ოქტომბერს „რელიგიური საზოგადოებათა რეგისტრაციისა და ამ საზოგადოებათა ყრილობების მოწვევის ნებართვის წესის გაცემის შესახებ“ გამოცემულ ინსტრუქციით (იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 165 ა. წ.)

საზოგადოებები ვალდებულია რეგისტრაციისათვის წარმოადგინონ სამსამ ეკზემპლიარათ.

1. განცხადება რეგისტრაციაში გატარების შესახებ.
2. საზოგადოების დებულება.
3. საზოგადოების წევრთა სია აღნიშვნით ყოველ წევრზე—1) გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) საცხოვრებელი ადგილი და მისამართი, 3) სოციალური მდგომარეობა, 4) საზოგადო და სამსახურობრივი მდგომარეობა 1914 წლიდან, 5) რა წოდებას ეკუთვნოდი რევოლიუციამდის, 6) ქონებრივი მდგომარეობა და 7) აღნიშნულ რელიგიურ კულტში წევრად შესვლის დრო.
4. საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს წევრთა სია ამის მე-3 მუხლში აღნიშნული ფორმით.
5. ამ საზოგადოების ყველა არჩეულ პასუხისმგებელ და სასულიერო წოდების პირთა სია ამის მე-3-ე მუხლში აღნიშნულ ფორმით.
6. სრულიად სწორი და დეტალური სია საზოგადოების ხმარებაში მყოფ ქონებისა—მიწა, შენობები, საეკლესიო ნივთები და სხვ...
7. ტფილისის მაზრის სხვადასხვა სოფლებში არსებულ რელიგიურ საზოგადოებებმა ეს ცნობები უნდა წარადგინონ სათანადო თემის ან რაიონის აღმასრულებელ კომიტეტში, საიდანაც ცნობები გადმოიგზავნება ტფილისის ალმასკომში რეგისტრაციაში გასატარებლად
8. ის რელიგიური საზოგადოებები, რომლებიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში ზემოაღნიშნულ ვადამდის დაუყოვნებლივ დაიხურებიან.

ტფილისის ალმას. პრეზიდიუმის წევრი მესხი.
საორგანიზაციო-საინსტრუქტორო ნაწილის გამგე ახვლედიანი
2—2—კრ. 715

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
სხივებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის ხელმძღვანელობით
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] ექიმობას საჭიროებენ.
სამკურნალო სხივებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვ.
ნელმიბით. ტფილისი, ურიდანოვის ქ. № 30. (1252—26—23)

საავადმყოფო საკონსულტაციო-სამკურნალო კაბინეტი ექიმი ქალის
გ. დ. ხანცინის
მედიცინის ექიმის ვ. ვ. შენგელიძის
მუდ. კონსულტაციით. მიღება ყოველდღე (გარდა კვირისა) 2-დან—4 საათამდე. ძუძუმწოვარ ბავშვთათვის კონსულტაცია—ოთხშაბათობით და შაბათობით. კრუზენშტეინის ქუჩა № 1. (რუსთაველის პრ. კუთხე) ტელ. № 18—14. (46—25—15)

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა
რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა
ყოველ დღე 9—1 ს. და 6—8 ს. სალ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
78 25—7

ქ. ტფილისის მე 3-ე რაიონის სასამართლო აღმასრულებელი ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ ის 10 ნოემბერს ამა 1923 წ. დილის 9 საათზე სახლში № 30 ბებუთოვის ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის ალექსანდრე შარიმანოვის მოძრავ ქონებას: ხის ავეჯს, ხალიჩებს, ჭურჭელს და სხ. ლიუსია შარიმანოვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის მე 3 ე რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 29 ოქტომბრის 1923 წ. თარიღით, № 1561, გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ეს ქონება შეფასებულია 252.000.000 მან.
102—1—1 სასამართლოს აღმასრულებელი ა. გეგეჭკორი.

ქ. ტფ. მე-5-ე უბნის სახალხო მოსამართლე ამით ვაცხადებ, რომ თანახმად ჩემი დადგენილებისა 13 ოქტომბრის ა. წ. რწმუნების წერილი, გაცემული ილარიონ ვატას ძე მიქელაძის მიერ ლევან ალექსის ძე ალშიბაიას სახელზე, რომელიც გამოცხადებულია ტფილისის ნოტარიუსთან მაჭავარიანთან 1920 წ. 26 თებერვალს რეესტრის № 1684 იქმნას გაუქმებული.
სახალხო მოსამართლე: (ხელს აწერს)
მდივანი: ნ. იზორია.

დავკარგე სამსახურის ნუსხა № 399, გაცემული სენაკის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად. ვახტანგი დიმიტრის ძე გუგუშვილი. 101—1—1

დავკარგე მატრიკული № 347, მიღებული ტფ. სახ. უნივერსიტეტში, ჩაითვალოს გაუქმებულად. სტუდ. ალ. ბუჩუკური. 100—1—1

დავკარგე საბუთები ძაძამიას სახელობაზედ, ჩაითვალოს გაუქმებულად. 97—1—1

დავკარგე მოქ. ახალციხის მცხოვრებლისა აბრამ კარაპეტას-ძე მნაცაკანოვისა სარეგისტრაციო მოწმობა № 2189 1922 წ. მოცემული ახალციხის მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ, ჩაითვალოს გაუქმებულად. 98—1—1

დავკარგე აღმასკომის სამმართველოს განყ. უფროსის მიერ გაცემული 1922 წ. მე-2-ე სამილიციო რაიონის უფროსის მიხეილ დანელიას სახელობაზედ პირადობის მოწმობა, ჩაითვალოს გაუქმებულად. 99—1—1

დავკარგე ბართლომე ნიკოლოზის ძე გელეთიანის სახელობაზე უვადო პასპორტი და ბირჟიდან მოცემული საექიმო დახმარების ბლანკი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 104—1—1

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 4.